ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
2 ივლისი **სამშაბათი** 2013
№153 (14 069) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონსტრი განადგურებულია

## ახლა ყველა ფავორიტია



14

# ზესტაფონის თანახმაა

2

12 დაკომპლექტებულია. დღეს კალენდარს ველოდებით

# ფაჩულია და პორტლენდი: მოლაპარაკება მიმდინარეობს

## დღეიდან ქართველი თავისუფალი აგენტია



11

# შერმადინი და ბუდიველნიკი...

## დაუბრუნდება ქართველი ცენტრი ევროლიგას უკრაინელებთან ერთად?




216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი **გიორგი შერმადინი** გასულ სეზონში ჯერ ისრაელის „მაქაბის" ღირსებას იცავდა, შემდეგ ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" ერთად ევროლიგა მოიგო. ახალ სეზონში ევროლიგაზე უკრაინის ჩემპიონ „ბუდიველნიკს" დაეხმარებაო - წერია უკრაინულ საიტ „ისპორტზე".

ამ კლუბთან ერთად უკრაინის პირველობა **გიორგი ცინცაძემ** მოიგო და მწვრთნელმა, **აინარს ბაგაცკისმა** გუნდში ჯერ მხოლოდ ერთი კალათბურთელი დაიმატა ოფიციალურად - **ანდრეი ლებედინცევი**. როგორც ზემოხსენებული საიტი იუწყება, შერმადინი მეორე კალათბურთელი იქნება, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმდება. თუმცა...

- საქმე არათუ გადაწყვეტილი არ არის, „ბუდიველნიკთან" მოლაპარაკება არც მიმდინარეობს, - ამის შესახებ გიორგი შერმადინის აგენტმა **ლევან მიქელაძემ** გუშინ გვითხრა.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

# რეპეტიცია მოგებულია

## რა იქნება ერთი წლის შემდეგ?

8-9



სამზადისი. დინამო.

# ოპტიმისტური განწყობა

თბილისის „დინამოს“ ავსტრიული შეკრება დაასრულა — საქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი გუნდი სამშობლოში გუშინ, გვიან ღამით დაბრუნდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი, ჩეხი სპეციალისტი დუშან უჰრინი თავის შეგირდებს, ალბათ, ერთ-ორ დღეს დაასვენებს, მერე კი მზადება დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაგრძელდება. თბილისის „დინამომ“ ახალ სეზონში პირველი ოფიციალური მატჩი (ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა) 16 ან 17 ივლისს უნდა ჩაატაროს; თუმცა მანამდე ხომ არანაკლებ საინტერესო პაექრობა გველოდება: 7 ივლისს, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო-არენაზე“ ყოფილი პრინციპული მეტოქეების, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგური მატჩი გაიმართება! ამ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას „ლელო“ დიდ ყურადღებას დაუთმობს, მანამდე კი ისევ ავსტრიულ შეკრებას გვინდა დავუბრუნდეთ და ისე როგორც ჩვენი გაზეთის ბოლო ნომრებში, დღესაც შემოგთავაზებთ „დინამოს“ პრესსამსახურის მომზადებულ მასალებს, რომლებიც, ტრადიციულად, „დინამოს“ ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.


გიორგი სეთურიძე

## გიორგი სეთურიძე: გულშემატკივარი უნდა გავახაროთ!

„მთელი შეკრების განმავლობაში თავს კომფორტულად ვგრძნობდით: იმის გარდა, რომ საუკეთესო გარემოში ვემზადებოდით, აქ ჩატარებული ყველა სპარინგ-მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მართალია, ეს შეხვედრები ამხანაგურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ თითოეულ დინამოელს უდიდესი მოტივაცია გვქონდა, - მით უფრო, რომ ასეთი დონის მეტოქეებთან პაექრობა იშვიათად გვიწევს. სასიამოვნოა, რომ ბევრი აღნიშნავს ჩვენს შესაშურ ფიზიკურ მომზადებას. ასე იყო წინა სეზონშიც: სხვაგვარად წარმოუდგენელი იყო ჩემპიონატშიც და თასის გათამაშებაში წარმატებისათვის რომ მიგვეღწია. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ამ ეტაპზე, ალბათ, უკეთეს მეტოქეს ვერც ვინატრებდით; ვეცდებით, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მაქსიმალურად წარმატებით ვითამაშოთ და ქართველი გულშემატკივარი გავახაროთ. იმედია, „დინამოს“ ქომაგობა არ მოაკლდება...“


დავით კვირკველია

## დავით კვირკველია: დინამოდან დინამოში

„...2003 წელს, თბილისის „დინამოში“ რომ ვთამაშობდი, მაშინაც კარგი გუნდი გვყავდა; თუმცა, იმ წელს ჩემპიონთა ლიგაზე საოცარი უიღბლობა შეგვემთხვა, თორემ „ტირანას“ ძლევა შეიძლებოდა. შემდეგ, გუნდი გაახალგაზრდავდა და, ალბათ, ბევრი არ ელოდა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე თუ მოვხვდებოდით: თუმცა, ზედიზედ დავამარცხეთ „ბატე“, „სლავია“ და ვისლა“...

...დღევანდელი „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა ევროპულ სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს (ცალკე თემაა „დინამოს“ საფეხბურთო აკადემია); ბევრ ქვეყანაში მითამაშია და ერთადერთი, ყაზანის „რუბინის“ ბაზა თუ შეიძლება რომ შევადაროთ, მაგრამ, მერწმუნეთ: „დინამოსი“ სჯობია!

...„დინამოს“ სათავეში რომან ფიფიას მოსვლისთანავე შემომთავაზეს აქ გადმოსვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ეტაპზე ჩვენი თანამშრომლობა ვერ შედგა. ახლა კი ამდენხნიანი პაუზის მერე ისევ „დინამოში“ ვარ და თავს უცხოდ ნამდვილად ვერ ვიგრძნობდი. ფეხბურთელებიდან ბევრს ვიცნობდი, ზოგთან მეგობრობაც მაკავშირებს, მაგრამ შეკრებაზე ერთად ყოფნა მაინც სხვა რამეა. ძალიან მიხარია, გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით პერსპექტიული ახალგაზრდა ბიჭებიც რომ ემზადებიან. ყველა მათგანს პროფესიონალიზმი ეტყობა და მჯერა, რომ „დინამოს“ მომავალ წარმატებებში საკუთარ წვლილს შეიტანენ.

...მთავარი მწვრთნელი ისეთი პიროვნება აღმოჩნდა, ასე მგონია, დიდი ხანია ვიცნობ; ახლა მთავარია, რომ მისი მოთხოვნები დავაკმაყოფილო და მის სათამაშო სქემაში ჩავჯდე. თანაც, „დინამოში“ დღესდღეობით მძაფრი კონკურენციაა და თითქმის ყველა ფეხბურთელი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ძირითადში თამაშს სწორედ ის იმსახურებს.

ისეთი სპარინგ-მატჩები ჩავატარეთ, შესაძლოა, მთელი კარიერის განმავლობაში არ მოგიწიოს ასეთი დონის გუნდებთან დაპირისპირებამ. სწორედ ამ შეხვედრებმა დაგვანახვა, რომ „დინამოს“ ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლია თამაში“.

## გიორგი მერებაშვილი: სრულ მზადყოფნაში ვართ

„შეკრებისათვის მართლაც იდეალური ადგილი იყო; აღარაფერს ვამბობ სპარინგ-პარტნიორებზე: ისეთ გუნდებს ვეთამაშეთ, სისტემატურად რომ ასპარეზობენ ევროტურნირებზე და ზოგიერთ ჩვენს მეტოქეს ჩემპიონთა თუ ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპიც კი დაუძლევია. თუნდაც, დონეცკის „შახტარის“ მაგალითზე ვილაპარაკოთ: პირადად მე, არც სანაკრებო და არც საკლუბო დონეზე ასეთი დონის გუნდის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია. ყველანაირად უმაღლესი კლასის გუნდია და ასეთ მოწინააღმდეგესთან მატჩში დიდი გამოცდილება მივიღე. აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, რომ ყველასათვის სასიამოვნო იყო ასეთი დონის გუნდთან გამარჯვება. სწორედ ასეთ შეხვედრებში (მით უფრო - წარმატების მერე) იზრდება საკუთარი თავის რწმენა, რის გარეშეც, მნიშვნელოვან შედეგს ვერ მიაღწევ. „შახტარი“, საერთოდ, იშვიათად აგებს და ამ გუნდის ფეხბურთელებსაც, ალბათ, ამიტომაც გაუჭირდათ მარცხთან შეგუება: მეორე ტაიმში მონდომებასთან ერთად აგრესიაც ეტყობოდათ...

...ადრე იყო ისეთი შემთხვევები, როცა მეორე ტაიმში უპირატესობას ვერ ვინარჩუნებდით-ხოლმე; ავსტრიაში ჩატარებულ მატჩებში კი პირიქით მოხდა: მეორე ტაიმებს უკეთ ვთამაშობდით. საკუთარ თავსაც ვამჩნევ - უფრო მეტს დავრბივარ და ბევრად უფრო მეტი მანძილის დაფარვა შემიძლია მთელი მატჩის განმავლობაში. და არა მხოლოდ მე - გამძლეობისა და ფიზიკური მომზადების მხრივ ყველანი სრულ მზადყოფნაში ვართ.

...ოფიციალურ მატჩებამდე ერთი ამხანაგური მატჩია; ვიცი, რომ მოსკოვის „დინამოსთან“ დაპირისპირება ყოველთვის პრინციპულ ხასიათს ატარებდა. დიდი იმედი მაქვს, რომ „დინამო-არენაზე“ ქართველი გულშემატკივარი მოვა და მათი მხარდაჭერით საკუთარ მოედანზე ჩვენი დაუმარცხებელი სერია კვლავაც გაგრძელდება!..“

**გია ტუხაშვილი**


გიორგი მერებაშვილი

ეროვნული ჩემპიონატი

## დღეს კალენდარი შედგება

კარგა ხნის წინ გაცხადდა, რომ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში კვლავ 12 გუნდი იასპარეზებს და გათამაშების სისტემაც უცვლელი დარჩება – ორი წრის შემდეგ უმაღლესლიგელები კვლავ ზედა და ქვედა ექვსეულებად დაიყოფიან. გეხსომებათ, გასული სეზონის დასრულებისთანავე გავრცელდა ვერსიები უმაღლესი ლიგის გაფართოების თაობაზე, მაგრამ ამ ხმებს რეალობასთან საერთო არაფერი აღმოაჩნდა.

გარკვეულია ისიც, რომ მომავალი ჩემპიონატი 10 აგვისტოს დაიწყება. აქამდე უმაღლესი ლიგის კალენდარიც დამტკიცებული იქნებოდა, მაგრამ რაკი "ზესტაფონის" მხრიდან პასუხი გვიანდებოდა, მეთორმეტე უმაღლესლიგელის საკითხი ღიად იყო დარჩენილი. როგორც იქნა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თანხმობა "ზესტაფონისგანაც" მიიღო და კალენდრის შედგენას ხელს აღარაფერი უშლის.

ასე რომ, თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდა, "ლელოს" ხვალინდელ ნომერში მომავალი უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის კალენდარს, ან უარეს შემთხვევაში, მის პროექტს იხილავთ. კალენდარს სფფ-ის აღმასკომის დღევანდელ სხდომაზე შეიმუშავებენ.

მომავალ უმაღლეს ლიგაში კი ეს 12 კლუბი ითამაშებს:

1. დინამო (თბილისი)
2. დილა (გორი)
3. ტორპედო (ქუთაისი)
4. ჩიხურა (საჩხერე)
5. ზესტაფონი (ზესტაფონი)
6. ზუგდიდი (ზუგდიდი)
7. მეტალურგი (რუსთავი)
8. მერანი (მარტვილი)
9. ვიტ ჯორჯია (თბილისი)
10. სიონი (ბოლნისი)
11. გურია (ლანჩხუთი)
12. სპარტაკი (ცხინვალი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზესტაფონი

## შეთანხმება მიღწეულია: ზესტაფონი ითამაშებს!

საქართველოს ორგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის „ზესტაფონის“ ირგვლივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ქართული ფეხბურთის ყველაზე მტკივნეული თემა გახდა. გუნდმა, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატში ამინდს ქმნიდა და ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნეოდა, ეროვნულ ჩემპიონატს ბოიკოტი გამოუცხადა. ზესტაფონელები სახელმწიფოს მხრიდან სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებასა და ყველა კლუბის თანაბარ პირობებში ჩაყენებას ითხოვდნენ.

*„არ შეიძლება ერთი გუნდი სახელმწიფო ბიუჯეტში იხდიდეს სოლიდურ თანხას, სახელმწიფო კი მის კონკურენტს ამავე ფულით აფინანსებდეს. თუკი გორის „დილას“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რამდენიმე მილიონი ლარი გამოეყო, სხვა კლუბებსაც უნდა გაეწიოს ანალოგიური დახმარება“*, - ასეთი გახლდათ ზესტაფონელთა პოზიცია.

„ზესტაფონის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროც ჩაერთო, მოლაპარაკებები გაიმართა კლუბის პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან**, პარალელურად „ზეტაფონის“ გულშემატკივრები კლუბის გადარჩენის მოთხოვნით საპროტესტო აქციებსაც მართავდნენ, მაგრამ იმერული კლუბის მეპატრონე გადაწყვეტილებას არ ცვლიდა და სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ითხოვდა. ამასობაში, „ზესტაფონს“ ქონება და საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს...

კლუბი ძალიან მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. პრობლემის გადაწყვეტისა და „ზესტაფონის“ გადარჩენის მიზნით, გუშინ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ**, გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ**, ზესტაფონის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გოგი ქავთარაძემ**, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა **ნუგზარ ქამუშაძემ** და საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრეზიდენტმა ილია კოკაიამ. გამგებელთან და მაჟორიტართან აუდიენცია ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა.


„ზესტაფონის“ ფანებმა სასიამოვნო ამბავი კლუბის პრეზიდენტისგან შეიტყვეს



„ზესტაფონის“ პრეზიდენტმა სტუმრებს კლუბის გადარჩენაში დახმარება სთხოვა. კოკაიას თქმით, იგი მზად არის კლუბის ინფრასტრუქტურა სამართავად გადასცეს ზესტაფონის გამგეობას. თუ ეს უკანასკნელი სტადიონსა და ბაზას მოუვლის, კოკაია ფინანსებს მთლიანად კლუბის განვითარებას მოახმარს და „ზეტსაფონი“ გაცილებით ძლიერი გუნდი იქნება.

შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებაში მონაწილეებმა დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე გადაინაცვლეს, სადაც გულშემატკივრები იყვნენ შეკრებილი და პასუხს ელოდნენ. „ზესტაფონის“ ფანებმა სასიამოვნო ამბავი თავად გუნდის პრეზიდენტისგან შეიტყვეს. კოკაიას თქმით, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ კვლავ იასპარეზებს უმაღლეს ლიგაში და ეს ამბავი ხვალ, სფფ-ის აღმასკომის სხდომაზე ოფიციალურად გაცხადდება.

მოგეხსენებათ, მომავალ ჩემპიონატში მონაწილეობაზე თანხმობა 11 კლუბს უკვე ნათქვამი ჰქონდა, მხოლოდ „ზესტაფონი“ რჩებოდა და მისი პრობლემაც მოგვარებულია. მთავრობა და კლუბი კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ - ინფრასტრუქტურას მუნიციპალიტეტი დააფინანსებს, ხოლო უშუალოდ საფეხბურთო საქმეებს კოკაია მიხედავს. თუმცა, რადგანაც ბიუჯეტში უკვე გაწერილია, იანვრამდე მუნიციპალიტეტის დახმარება ვერ მოხერხდება. სამაგიეროდ, საკრებულომ კლუბის დავალიანება - 2 275 ლარი დაფარა და სტადიონსა და ბაზაზე შუქისა და წყლის პრობლემა მოგვარებულია.

*„ექვსი თვის განმავლობაში შევხედავთ, როგორ განვითარდება მოვლენები, როგორ მიუდგება სახელმწიფო ჩვენს შეთავაზებას და ჩვენც შესაბამისად ვიმოქმედებთ. ეს ექვსი თვე გარდამავალი პერიოდი იქნება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში გუნდს არ გავაძლიერებთ, პირიქით, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ“*, -განაცხადა კოკაიამ.

**ზვიად სიჭინავა:** *„ილია კოკაია ზესტაფონის გამგეობისგან მილიონებს არ ითხოვს, მისი პირობაა - თუ რაიონი სტადიონსა და ინფრასტრუქტურას მიხედავს, თავად პრეზიდენტი ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს გააკეთებს. იმედია, გამგეობა კლუბს გვერდით დაუდგება და „ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იქნება“.*

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან
ავტორის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ლიგა



# ვადუცის მოლოდინში

უეფას ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩი საჩხერის „ჩიხურასა“ და ლიხტენშტეინის „ვადუცს“ შორის „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე გაიმართება.

რადგან არენა ფეხბურთის ფედერაციას ეკუთვნის, საჩხერელებს შეხვედრის საინფორმაციო მხარდაჭერაში ამ ორგანიზაციის პრეს-სამსახური ეხმარება. მისი ცნობით, მატჩი 4 ივლისს 18:00 საათზე დაიწყება.

3 ივლისს, 18:00 საათზე „მიხეილ მესხზე“ „ჩიხურა“ ივარჯიშებს, 19:00 საათიდან კი - „ვადუცი“.

ვარჯიშებს შორის, გუნდების მთავარი მწვრთნელები პრესკონფერენციებს გამართავენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჩიხურასა და ჟილინას საევროპალიგო რჩეულები

ქართული კლუბებიდან ევროტურნირებზე ასპარეზობას ყველაზე ადრე საჩხერის "ჩიხურა" და ქუთაისის "ტორპედო" დაიწყებენ. შეგახსენებთ, 4 ივლისს პირველი მათგანი ლიხტენშტაინურ "ვადუცს", ხოლო მეორე – სლოვაკურ "ჟილინას" უმასპინძლებს.

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნდა "ჩიხურას" საევროლიგო განაცხადი:

მეკარეები: **1. ზურაბ მწყერაშვილი, 16. გიორგი სომხიშვილი, 30. რევაზ თევდორაძე;**

მცველები: **5. ლაშა ჭელიძე, 8. გიორგი ქიმაძე, 21. გოგიტა გოგოტიშვილი, 24. ლაშა ჩიკვაიძე, 37. შოთა კაშია, 88. გიორგი რეხვიაშვილი;**

ნახევარმცველები: **7. ჯამბულ ჯიღაური, 10. ნიკა კვასხვაძე, 14. გუგუა იაკობაშვილი, 15. დავით კაკულია, 17. ალექსანდრე ივანიშვილი, 19. ვაჟა ლომაშვილი, 26. გიორგი დათუნაიშვილი, 27. გიგა ბეჭვაია, 49. დავით ოდიკაძე, 72. ბადრი დემეტრაშვილი;**

თავდამსხმელები: **11. რატი წინამძღვრიშვილი, 51. ბესიკ დეკანოიძე, 71. თემურ ნადირაძე, 99. თორნიკე მუმლაძე.**

ჯერჯერობით, "ვადუცის" განაცხადი არ გამოქვეყნებულა. უეფას საიტზე ჯერ არც "ტორპედოს" განაცხადია განთავსებული.

"ჟილინას" საევროთასო სია კი ასეთია:

მეკარეები: **22. მარტინ კრნაჩი, 30. მარტინ დუბრავკა;**

მცველები: **5. სერჟ აკაკპო, 7. ვლადიმირ ლაიტნერი, 15. იოჟეფ პიაჩეკი, 18. ალი სეესაი, 19. დენის ვავრო, 27. ანდრეი კადლეცი, 45. ერნესტ მაბუოკა, 77. რიკარდო ნუნიესი;**

ნახევარმცველები: **8. ადამ ჟილაკი, 9. რომან გერგელი, 10. ტომაში მაიტანი, 12. ვიქტორ პეჩოვსკი, 21. მიხალ მრავეცი;**

თავდამსხმელები: **11. დავიდ გუბა, 14. ბაბატუნდე ბელო, 17. რობერტ პიხი.**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ზვიად სიჭინავას ინიციატივა

# ჩაწყობა სისხლის სამართლის დანაშაულია



ზვიად სიჭინავა

**ზვიად სიჭინავამ** "ლელოსთან" ლაპარაკში გაამხილა, რომ მთავრობას ინიციატივით მიმართა. მისი მიზანია, ჩაწყობილ თამაშებს ბრძოლა სახელმწიფო დონეზე გამოუცხადონ.

*"გვაქვს წინადადება, რომ ჩაწყობილი თამაშები სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარონ. ამის შესახებ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს წერილობით მივმართეთ და იმედია, ჩვენს ინიციატივას გაიზიარებენ"* – გვითხრა სიჭინავამ.

გარიგებული მატჩები რომ ქართული ფეხბურთის სერიოზული თავის ტკივილია, ამაზე არავინ დაობს. ბოლო დროს, ფეხბურთის ფედერაცია ამ კუთხით საკმაოდ აქტიურობს. ასე მაგალითად, 17 ივნისს ფედერაციაში სპორტული სამართლიანობის ჯგუფი ჩამოყალიბდა.

*"ჯგუფის მიზანია, სამუშაო პროექტის შემუშავება და პროცესის ხელმძღვანელობა. ურთიერთობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან - სამართალდამცავ სტრუქტურებთან, საშეჯიბრო ორგანოებთან, ფიფასთან და უეფასთან. ასევე, იურიდიული საკითხების მოგვარება და სფფ-ის ეგიდით გამართული შეჯიბრებების მონიტორინგი. ახალი სეზონის დასაწყისისთვის, სპორტული სამართლიანობის ჯგუფი მოამზადებს კონკრეტული, პრაქტიკული წინადადებების პაკეტს, რომელიც მოწინავე ევროპული ქვეყნების გამოცდილებასა და ქართული ფეხბურთის სპეციფიკას დაეყრდნობა და მას სფფის ხელმძღვანელობას მიაწვდის"* – ვკითხულობთ ჯგუფის განცხადებაში.

ქართული ფეხბურთის სუბიექტებთან აზრთა გაზიარების მიზნით, სპორტული სამართლიანობის ჯგუფს დაგეგმილი აქვს რეგიონებში სემინარების ჩატარება და იმედოვნებენ, რომ ამგვარად, ხელს შეუწყობენ გარიგებული თამაშების პრევენციასა და ამ საკითხებზე დაინტერესებული მხარეების გაცნობიერებას.

**მერაბ მამულაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# თომაშვილი გაზოვიკს უარყოფს

30 ივნისს გორის "დილა" 10-დღიან შეკრებაზე თურქეთში გაემგზავრა. კლუბის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ცნობაში მითითებული იყო, რომ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** შეკრებაზე 25 ფეხბურთელი წაიყვანა - სიაში **გულვერდ თომაშვილიც** იყო.

ამის მიუხედავად, გავრცელდა ხმები, რომ ეროვნული ნაკრების კანდიდატი, 24 წლის მცველი ორენბურგის "გაზოვიკში" ემზადება და გუნდთან კონტრაქტის გაფორმებას აპირებს.

შეგახსენებთ, რომ ივნისის ბოლოს, რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბში **ზურაბ არზიანი** ჩაირიცხა - ასევე გორის "დილას" ყოფილი მოთამაშე და ის "გაზოვიკს" უნგრეთში შეკრებაზე გაჰყვა.

ამ საკითხზე კომენტარისთვის "ლელო" გულვერდ თომაშვილს თურქეთში დაუკავშირდა.

*"ახლობლები მიკავშირდებიან და იგივეს მეკითხებიან. ვერ ვხვდები, ეს ჭორი ვინ გაავრცელა. რა ორენბურგის "გაზოვიკი"?! თურქეთში გორის "დილას" შეკრებაზე ვარ და ევროპის ლიგის თამაშებისთვის ვემზადები"* – გვითხრა თომაშვილმა.



გულვერდ თომაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

მზადება ახალი ციკლისთვის



ვასილ მაისურაძე

# მაისურაძემ 19-წლამდელები შეკრიბა

ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე ოთხეულში მოხვედრის შემდეგ, ვასილ მაისურაძის განვრთნილ ნაკრებს პაუზა ჰქონდა - ამ დროს, 1995 წელს დაბადებულთა გუნდს უეფას ოფიციალური ტურნირი აღარ უწევდა.

ერთწლიანი პაუზის შემდეგ, უკვე 19-წლამდელების ეგიდით, ნაკრები კვლავ მაისურაძემ შეკრიბა, შემოდგომიდან კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაერთვება.

სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, ნაკრები სასტუმრო "პრესტიჟში" დაბინავდა და სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ვარჯიშობს. მაისურაძის განკარგულებაში 23 ფეხბურთელია და აქ საკმაოდ ბევრი ახალი სახეა - მათ ამხანაგურ ტურნირებში გამოცდა ელით.

ალსანიშნავია, რომ მაისურაძემ ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შეკრიბა, რადგან ფეხბურთელების დიდი ნაწილი კლუბებთან ერთად ემზადება, ნიკა ჭანტურია, სანდრო გურეშიძე და ლაშა დვალი კი გია ცეცაძის 19-წლამდელებში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრება და ახლა მათი გამოძახება გაუმართლებელი იქნებოდა.

მეკარეები: **ნიკა შერმადინი ("დინამო" თბილისი), ალექსანდრე ადამია ("გაგრა"), ოთარ გოშაძე ("საბურთალო")**

მცველები: **ოთარ კაკაბაძე, გიგა სამხარაძე, ბექა მელიქიძე (ყველა – თბილისის "დინამო"), ჯემალ ტაბიძე ("საბურთალო"), ნიკა ჩხეიძე ("კალმარი", შვედეთი), ცოტნე ქებურია, ალეკო ჩაკვეტაძე (ორივე – "ჩიხურა")**

ნახევარმცველები: **ჭიაბერ ჭეჭელაშვილი, გიორგი პაპუნაშვილი, არჩილ მესხი, თორნიკე მაჭავარიანი (ყველა – თბილისის "დინამო"), ლევან შენგელია, ლაშა ქოჩლაძე (ორივე – "ჩიხურა"), გიორგი თევზაძე ("საბურთალო"), ლუკა კიკაბიძე ("ტორპედო", ქუთაისი), თენგიზ წიქარიძე ("დილა", გორი).**

თავდამსხმელები: **ვანო წილოსანი ("დინამო" თბილისი), დავით მაკარაძე ("ვიგრი სუვალკი", პოლონეთი), ილია კერძევაძე ("ჩიხურა"), დავით დარციმელია (უგუნდო)**

ნაკრები 5 ივლისს ბელარუსში გაემგზავრება, სადაც ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 7 ივლისს ისრაელთან, 9 ივლისს კი – მასპინძლებთან.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ფრიდონ ინჯია:
# რატომ არ მიიწვიეს ყიფიანი ყრილობაზე?

**სასტუმრო „ჰოლიდეი ინში" ფედერაციის ყრილობაზე გასული სეზონი შეაჯამეს, ალმასკომის ახალი წევრები - რომან ფიფია და სერგო კუტივაძე დაამტკიცეს და უმაღლესი ლიგის გუნდები ჩემპიონატის საწევრო გადასახადისგან გაათავისუფლეს. თუმცა, მარტვილის "მერანის" პრეზიდენტი ფრიდონ ინჯია ამბობს, რომ ბევრი კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა:**

- ყრილობაზე ვილაპარაკეთ დაფინანსების პრობლემებზეც, რომელიც წლეულს ბევრ კლუბს შეექმნა. თუკი ადრე სახელმწიფო ფეხბურთისთვის 14 მილიონ ლარს გამოყოფდა, ახლა თანხა განახევრდა და 7 მილიონი გახდა. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტებიც შეჩერდა: შარშან ექვსი მოედანი აშენდა, წლეულს ბევრი არაფერი გაკეთებულა.

**- ალმასკომის წევრთა ცვლილებას როგორ შეხვდით?**

- მიმაჩნია, რომ დროული და აუცილებელი იყო, რადგან იქ კერძო კლუბებს წარმომადგენელი საერთოდ არ გვყავდა. სხვა ცვლილებებიც მივიღეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ მთლიანად ფედერაციის წესდებაა შესაცვლელი, რადგან არავითარ სტანდარტს არ შეესაბამება. წესდებას ყველა ქვეყანაში ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ადგენენ და ქვეყნის საფეხბურთო კონსტიტუციას წარმოადგენს. ის უნდა იყოს სახელმძღვანელო როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე მოყვარულებისა და მთავრობის წევრებისთვის.

**- კულუარებში ბევრი ლაპარაკობდა - რატომ არ დაესწრო ყრილობას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი. ამას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა?**

- მიმაჩნია, რომ ფეხბურთის ფედერაციამ ხარვეზი დაუშვა.

**- ითქვა, თითქოს, ყიფიანი ყრილობაზე დასწრებას თავად მოერიდა - დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობაში რომ არ ჩარეულიყო...**

- არ მგონია, ეს სიმართლეს შეესაბამებოდეს. ლევან ყიფიანი წინა დღეს ვნახე და დავინტერესდი - დაესწრებოდა თუ არა ყრილობას. მიპასუხა - თუ მიმიწვევენ, სიამოვნებით დავესწრებიო. მაგრამ არც ის ყოფილა და არც ლერი ხაბელოვი. არადა, სპორტის მინისტრი და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი უნდა მოეწვიათ, რადგან ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივებისა და სახელმწიფო დაფინანსების საკითხებზე მათი მოსაზრებების მოსმენა აუცილებელი იყო.

**- ცნობილია, სახელმწიფო კერძო კლუბებს არ დააფინანსებს.**

- სამართლიანობის პრინციპით ვითხოვდით, რომ ყველა კლუბი თანაბრად დაეფინანსებინათ. სახელმწიფო ფეხბურთს თუ არ დაეხმარება, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. უკვე რთულ სიტუაციაში ვართ, რადგან მთელი 7 მილიონით დაფინანსების შემცირება სხვაზე არაფერზე მეტყველებს.

მაგრამ სახელმწიფოს პოზიციაც ვიცით და გვესმის, რომ ყველას ერთად ვერ მიხედავს. ამიტომაც, ცოტას გავიჭირვებთ და "მერანი" უმაღლეს ლიგაში წელსაც გამოვა. მით უმეტეს, ახლა გვერდში რამდენიმე კერძო კომპანია დაგვიდგა.


ფრიდონ ინჯია

აქვე გეტყვით, რომ ლევან ყიფიანმა ძალიან საინტერესო პროგრამა მაჩვენა. და თუ ის დროის მიხედვით გაიწერება და მომავალი წლის ბიუჯეტში მოხვდება, მაშინ პირველი იანვრიდან კლუბები გარკვეულ შეღავათს მივიღებთ.

საამისოდ, აუცილებელია ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობა, მაგრამ, თუ ამ ყრილობის მსგავსად, ცალ-ცალკე იქნებიან, ეს პროგრამა ვერ განხორციელდება.

ამიტომაც არის გაუგებარი - რატომ არ მოიწვიეს ყიფიანი? ფედერაციას და ალმასკომს თუ რამე უნდათ, დახარონ თავი და მინისტრთან მთელი შემადგენლობით მივიდნენ, სხვაგვარად, ფეხბურთი დაზარალდება. ძალა ერთობაშია. ჩვენი ფეხბურთი კი ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, ცალ-ცალკე დგომის უფლება არ გვაქვს. რა მოვიგეთ იმით, რომ ყიფიანი არ მოვიწვიეთ?!

**- დარწმუნებით იცით, რომ სახელმწიფო იმ შვიდ მილიონს წლის ბოლომდე არ ჩარიცხავს?**

- ძალიანაც კარგი თუ ჩარიცხავს, ჩვენც ეს გვინდა. ამ ფულს მე არ მოვიხმარ, მაგრამ სტადიონები რომ აშენდება, "მერანისთვისაც" კარგი იქნება და იქნებ, მოედნის საფარის შეცვლაში მარტვილსაც დაეხმარონ.

**- ბოლო დროს, გუნდები სახელმწიფოს მუდმივად თანხის დარიცხვაზე ელაპარაკებიან, საკანონმდებლო ინიციატივები კი ჩრდილში მოექცა.**

- არ გეთანხმებით. ყრილობაზე ეს საკითხი დავაყენე, რადგან კანონმდებლობას ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

**- კონკრეტულად რა კანონს გულისხმობთ?**

- ორმაგი დაბეგვრის გაუგებარ კანონს - თავისთავად იბეგრება საწარმო ან კომპანია, რომელიც გუნდს აფინანსებს და მერე გადასახადს გუნდიც იხდის. ანუ კერძო მეპატრონე ორჯერ იბეგრება. ეს რა არის? ასე რომ, ლოგიკური და ადამიანურად გასაგები კანონმდებლობა გვესაჭიროება. დროებითი, ორწლიანი კანონი მაინც მივიღოთ, რომ გუნდებმა ამოისუნთქონ და ფეხზე დადგნენ. მერე სხვა ბიზნესმენიც გამოჩნდება, ვისაც უყვარს ფეხბურთი და ფულის დაბანდება სურს.

**- თქვენ ასეთი ბიზნესმენები გეგულებათ?**

- მეგულება და სწორედ ამიტომ ვლაპარაკობ. მაგალითად, დღეს ჩემპიონატის საწევრო 40 ათასი ლარი მოგვიხსნეს. მაგრამ დააწესონ, რომ ბიზნესმენი ან კომპანია გადასახადიდან გათავისუფლდება ფეხბურთში დაბანდებული საწყისი 500 ათასი ლარის შემთხვევაში, დანარჩენი ჩვეულებრივ დაუბეგრონ. ნახავთ, ეს როგორ იმოქმედებს. სამწუხაროდ, მსგავსი გონივრული მიდგომა არ არსებობს.

ეს იმის ბრალიც არის, ალმასკომში კერძო გუნდების წარმომადგენლები რომ არ იყვნენ და ჩვენი სატკივარი კარგად არ ესმოდათ. ყრილობაზე ალმასკომში ერთი რომან ფიფია შეიყვანეს, მაგრამ ეს არის პროცესის დასაწყისი და ამაზე გაჩერება არ შეიძლება.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა

# გაგრას პრეზიდენტიც მიდის?

16 ივნისს "გაგრაში" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები დაიწყო - ხელმძღვანელობა გამოცდილ მოთამაშეებს შეელია და აქცენტი დუბლშემადგენლობის მოთამაშეებზე გააკეთა.

კლუბმა თანამშრომლობა 12 ფეხბურთელთან შეწყვიტა - **სოსო მალანიასთან, გიორგი მარგიანთან, თეიმურაზ ჯანაშიასთან, კოტე ზარნაძესთან, ვაჟა გაბესკირიასთან** და **დიმიტრი ლაშქარავასთან.** მათ გარდა, კონტრაქტი შეუწყდა **ალექსანდრე ივანიშვილს**, ხოლო ტრანსფერზე დააყენეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტების მქონე მეკარე **გიორგი ბეგაშვილი**, მცველი **ლაშა კალანდაძე**, ნახევარმცველები **ნიკა ჭკუასელი** და **გიორგი ერისთავი.**

სულ ბოლოს კონტრაქტი შეუწყდა თავდამსხმელ **უმარ მაგაჯის.** ეს გუშინ მოხდა. 21 წლის ნიგერიელმა თავდამსხმელმა გუნდთან სამწლიანი კონტრაქტი 2011 წლის აგვისტოში გააფორმა და თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა. მაგრამ ჯერ კიდევ გუნდის უმაღლეს ლიგაში გამოსვლისას, ჯვარედინი იოგები გაუწყდა და ოპერაციისა და რეაბილიტაციის მიუხედავად, ფორმა ვერ აღიდგინა. "გაგრას" მთავარი მწვრთნელის **ზვიად ჯელაძის** თქმით, მაგაჯიმ ბევრი ის კარგი თვისება დაკარგა, რომელიც ტრავმამდე სხვებისგან გამოარჩევდა. ამიტომაც აფრიკელთან დაშორება ამჯობინეს...

გამოცდილი მოთამაშეების ნაცვლად, შემადგენლობაში "გაგრა-2"-ისა და "გაგრა-3"-ის ფეხბურთელები დააწინაურეს. მიზეზად ის დასახელდა, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდების 16 ან 18-მდე გაზრდა გამოირიცხა და "გაგრასა" და პირველი ლიგის კიდევ რამდენიმე მონაწილის იმედები არ გამართლდაო.


უმარ მაგაჯი


ბესიკ ჩიხრაძე

გუნდში რჩება ნიგერიელი თავდამსხმელი **ჯონ ჯერემია**, რომელიც გასულ სეზონში, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი იყო (22 გოლი). მაგრამ მას უცხოეთისკენ უჭირავს თვალი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდი მასაც გაყიდის.

აშკარაა, რომ გუნდში რაღაც ხდება. სადავო არ უნდა იყოს, რომ გამოუცდელი მოთამაშეებით გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ვერ იბრძოლებს. არადა, დაარსების დღიდან, "გაგრა" მუდამ უმაღლეს და პირველ ლიგებს შორის იყო გამოკიდებული, მაგრამ ბრძოლას არ წყვეტდა. ახლა კი ისე გამოჩნდა, რომ ამის სურვილიც დაკარგეს.

რა ხდება გუნდში? მართალია თუ არა გავრცელებული ხმები, თითქოს, "გაგრა" პირველ ლიგაშიც აღარ იასპარეზებს?

ფედერაციის ყრილობის შემდეგ, "გაგრას" პრეზიდენტთან **ბესიკ ჩიხრაძესთან** ამის შესახებ გვსურდა ლაპარაკი. მაგრამ მისმა პასუხმა გული დაგვწყვიტა:

*„შესაძლოა, ეს ჩემი ბოლო ყრილობა იყოს. ამიერიდან, ალბათ, ფეხბურთს სხვაგვარად მივხედავ",* - გვითხრა ჩიხრაძემ.

მაგრამ ჩვენი მცდელობის მიუხედავად, მეტი აღარაფერი უთქვამს - სხვა დროს იყოსო.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# სანამ რუსეთი და უკრაინა დაიწყება

მოსკოვის "სპარტაკი" დონეცკში ადგილობრივ "შახტარს" შეხვდა და ფრედ - 0:0 ეთამაშა. **ჯანო ანანიძე** "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში იყო გამწესებული და 62-ე წუთზე შეცვალეს.

რუსეთის პირველ დივიზიონში დაქვეითებულმა სარანსკის "მორდოვიამ" ძალები რუმინულ "ვიიტორულთან" მოსინჯა. კოკისპირული წვიმის გამო გუნდებმა მოედანზე მხოლოდ ერთი ტაიმი გაატარეს, რომელიც ფრედ - 1:1 დასრულდა. **აკაკი ხუბუტია** "მორდოვიას" ძირითადში იყო და პირველი ტაიმი შეუცვლელად ჩაატარა. ეს არასრული შეხვედრა თურქულ შეკრებაზე გაიმართა.

რუსული პრემიერლიგა 14 ივლისს დაიწყება, ხოლო პირველი დივიზიონი ერთი კვირით ადრე, 7 ივლისს.

ლუგანსკის "ზარია" ვენის "აუსტრიასთან" საკონტროლო მატჩში 1:2 დამარცხდა. **ჯაბა ლიპარტია** "ზარიას" სასტარტო თერთმეტეულში იყო და მოედნიდან მე-60 წუთზე გაიყვანეს. ცნობისთვის, უკრაინის ჩემპიონატიც მალე, 12 ივლისს იწყება. პრემიერლიგის გახსნით შეხვედრაში "ტავრია" "ზარიას" მასპინძლობს.


ჯანო ანანიძე

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

# გამარჯვება პირველ სპარინგში

"ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადება 15 ივნისს დაიწყო, პირველი საკონტროლო მატჩი კი ორი დღის წინ ჩაატარა. **ზურაბ ბერიძის** გუნდმა "მცხეთა პარკზე" "ალგეთი-ზოოვეტს" უმასპინძლა და **ჯავაშვილისა** და **ლობჟანიძის** გოლებით 2:0 დაამარცხა. ანგარიში შეხვედრის 26-ე წუთზე გაიხსნა, მეორე ბურთი კი 75-ეზე გავიდა.

ვიტ ჯორჯია პირველ ტაიმში: **დაუშვილი - იაშვილი, ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი - დავლაშელიძე, ღიბრაძე - გაგნიძე, ჯანელიძე, ჯავაშვილი – კუხალეიშვილი.**

მეორე ტაიმში: რეჭია - გეთიაშვილი, ტეტუნაშვილი, ჩიტიშვილი (80 წთ. მერაბიშვილი), ბუაჩიძე - გახარია, ბუნტური - სამუშია, ხვისტანი, კვირკვია – ლობჟანიძე.

"ვიტ ჯორჯიას" პირველი გუნდის რიგებში გამოჩნდნენ დუბლშემადგენლობიდან დაწინაურებული ჭაბუკები, რომლებსაც თავის გამოჩენის შანსი მომდევნო ტესტ-მატჩებშიც მიეცემათ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გერმანული ტესტები



ვაინრაუხმა (მარცხნივ) რეგენთან დუბლი შეასრულა

# პეპმა ახალი თაობა დაინახა

## გვარდიოლას ვაინრაუხი და გრინი მოეწონა

გუშინდელ ნომერში „ბაიერნის“ პირველ ტესტ-მატჩზე ვწერდით, რომელიც რეკორდმაისტერმა 15:1 (ფანკლუბის ნაკრებთან) მოიგო. ამასობაში, ბავარიულმა გრანდმა **ხოსეპ გვარდიოლას** ხელმძღვანელობით მეორე ამხანაგური მატჩის გამართვაც მოასწრო და ისევ დიდი ანგარიშით, ამჯერად 9:1 (რეგენთან) იმარჯვა - ახალგაზრდა **გრინმა** კვლავ ჰეთ-თრიკი შეასრულა, **მარიო გომესს** კი ისევ არ უთამაშია. ტესტ-მატჩებს უკვე ბუნდესლიგის სხვა კლუბებიც ატარებენ და ვფიქრობთ, ჩვენს ყურადღებას ეს მატჩებიც იმსახურებს: **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ“ მეხუთელიგელი „შტრაუსბერგი“ 6:1 გაანადგურა (ლევანი ძირითად შემადგენლობაში იყო). „ჰანოვერმა“ და „გლადბახმაც“ სოლიდურად მოიგეს.

| შტრაუსბერგი-ჰერტა | 1:6 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ნდიენგი (19), 0:2 რამოსი (25), 0:3 ალაგუი (50), 1:3 რამიგი (52), 1:4 მუხტარი (58), 1:5 ვაგნერი (63), 1:6 ვაგნერი (70)

**ჰერტა (4-2-3-1):** ბურხერტი - პეკარიკი, ფრანცო, ჰუბნიკი, ვან დერ ბერგი - ლუსტენბერგერი, **კობიაშვილი** - ნდიენგი, რონი, ბენჰატირა - რამოსი.

აღსანიშნავია, რომ ბერლინელთა თავკაცმა **იოს ლუჰუკაიმ** ლევან კობიაშვილი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე, **ლუსტენბერგერის** მხარდამხარ ათამაშა. ზოგადად, ბოლო დროს კობი „ჰერტაში“ უმეტესად დაცვის მარცხენა ფლანგზე თამაშობს ხოლმე, მაგრამ როგორც ჩანს, ლუჰუკაი ვეტერან ქართველს ჯერ კიდევ მოიაზრებს ნახევარმცველად. მარცხენა მცველი კი **ვან დერ ბერგი** გახლდათ. მეორე ტაიმში ლუჰუკაიმ მთელი შემადგენლობა შეცვალა.

| შლეზვიგი-ჰანოვერი | 1:9 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 ზობიხი (15), 0:2 ავევორი (25), 0:3 შლაუდრაფი (40), 0:4 შლაუდრაფი (43), 1:4 პუტინსი (50), 1:5 კადა (55), 1:6 კადა (64), 1:7 პრიბი (78), 1:8 ნიკჩი (82), 1:9 შტინდლი (85)

**ჰანოვერი (4-4-1-1):** მილერი (46. ფური) - ავევორი, ბალასი, ჰოფმანი, პოკონიოლი (46. პანდერი) - გიოქდემირი, შტინდლი, ბიტენკური (46. ნიკჩი), ჰუსტი (46. პრიბი) - შლაუდრაფი - ზობიხი (46. კადა)

ახალი სეზონისთვის „ჰანოვერიც“ ინტენსიურად ემზადება. **მირკო სლომკას** საკმაოდ ამბიციურმა გუნდმა „შლეზვიგი“ მოლოდინისამებრ, უპრობლემოდ გაანადგურა. ყურადღების ცენტრში იყო „წითლების“ ახალწვეული **ლეონარდო ბიტენკური,** რომელიც „ჰანოვერმა“ დორტმუნდის „ბორუსიადან“ გადაიბირა - ახალგაზრდა შემტევმა ნახევარმცველმა თამაში სასტარტოში დაიწყო და ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა. თუმცა საუკეთესო მაინც „ჰანოვერის“ ლიდერი **იან შლაუდრაფი** გახლდათ, რომელმაც დუბლი შეასრულა.

| რედი-გლადბახი | 0:6 |
|---|---|

**გოლები:** 0:1 მიჩელი (5), 0:2 ჰრგოტა (27), 0:3 იუნესი (34), 0:4 რიტერი (55), 0:5 რაფაელი (58), 0:6 რიტერი (81)

**გლადბახი (4-2-2-2):** ჰაიმეროთი - კორბი, შტრანცლი, მერო, დემსი - დაჰუდი, მარქსი - იუნესი, ჰრგოტა - კურტი, მიჩელი.

**მეორე ტაიმში:** ბლაზვიხი, ლიდერი, ბრუვერსი, დომინგესი, ლენცი, ბრანდენბურგერი, კრამერი, რუპი, ჰოლცვაილერი, რაფაელი, რიტერი.

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ თავკაცმა **ლუსიენ ფავრმა** პირველ ტესტ-მატჩში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოსცადა, ყველაზე მეტად კი, რა თქმა უნდა, ახალწვეული **რაფაელის** ფორმა აინტერესებდა. ფავრის ერთ-ერთმა უსაყვარლესმა შეგირდმა საკმაოდ კარგად ითამაშა და გოლის გატანაც შეძლო, ახალგაზრდა **მარლონ რიტერი** კი დუბლით გამოირჩა. მომდევნო ტესტ-მატჩს „გლადბახი“ შაბათს, ბელგიურ „ლიერსთან“ გამართავს.

| რეგენი-ბაიერნი | 1:9 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 კოპი (5), 1:1 მიულერი (32), 1:2 ვაინრაუხი (35), 1:3 ვაინრაუხი (37), 1:4 გრინი (47), 1:5 გრინი (51), 1:6 ჩანი (63), 1:7 შიოპფი (74), 1:8 გრინი (80), 1:9 კროოსი (83)

**ბაიერნი (4-2-3-1):** შტარკე - ლამი, ბოატენგი, ჩანი, კონტენტო - ჰოიბერგი, ვაინრაუხი - რანკოვიჩი, მიულერი, შტრიდერი - რიბერი.

**მეორე ტაიმში:** რედერი, რაფინია, კირხჰოფი, შმიტცი, ვაინი, გრინი, შიოპფი, ვაიზერი, მარკუტცი.

„რეგენი“, რა თქმა უნდა, „ბაიერნის“ ფანკლუბის ნაკრებზე უკეთესი გუნდია და შესაბამისად, „ბაიერნმაც“ 15 გოლი ველარ გაიტანა, მაგრამ მაინც არასაფეხბურთო ანგარიშით, 9:1 მოიგო. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თავიდან „ბაიერვალდშტადიონზე“ თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ და გასული სეზონის ტრიუმფატორ ბავარიულ სუპერგრანდს 27 წუთის განმავლობაში უგებდნენ. ხსენებულ დროის შემდეგ კი ანგარიში **თომას მიულერმა** გაათანაბრა, რის შემდეგაც „ბაიერნს“ გოლები წყალივით წაუვიდა.

შესვენებაზე ხოსეპ გვარდიოლამ **ემრე ჩანის** გარდა ყველა ფეხბურთელი შეცვალა, ეს უკანასკნელი კი დაცვის ცენტრიდან ნახევარდაცვაში გადასწია. გერმანელი მიმომხილველების ცნობით, პეპს წარმოშობით თურქი ჩანი ძალიან მოსწონს და წესით, მასზე გაცილებით უცნობი ახალგაზრდები, **ვაინრაუხი** და გრინიც უნდა მოსწონებოდა. ამ უკანასკნელმა ზედიზედ მეორე ჰეთ-თრიკი შეასრულა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ გვარდიოლამ **ფრანკ რიბერი** ისევ ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ათამაშა, პირველი ტაიმის მეორე ნახევარში კი ფრანგი გამთამაშებლად დახია. რიბერის მონაგარი ერთი საგოლე პასია...

ტრანსფერი

# მორჩა, გორეტცკა შალკელია!

## ფარფანი გალათასარაიში არ გაუშვეს

როგორც იქნა, „ბოხუმი“ და „შალკე“ 18 წლის ნიჭიერი ფეხბურთელის, **ლეონ გორეტცკას** ტრანსფერზე შეთანხმდნენ და გადაწყდა, რომ გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად წოდებული ნახევარმცველი კარიერას გელზენკირხენულ კლუბში გააგრძელებს. გორეტცკამ „შალკესთან“ კონტრაქტი 2018 წლამდე გააფორმა. მოლაპარაკებები რამდენიმე კვირა გაგრძელდა და კლუბები საბოლოოდ 2.75 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. ამ თანხას სხვადასხვა ბონუსებიც დაემატება.

*„მიხარია, რომ ყველაფერი ისე დასრულდა, როგორც ჩვენ გვინდოდა. ლეონ გორეტცკას გადმობირება აუცილებლად გვინდოდა,“* - ეს „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის, **იენს კელერის** სიტყვებია.

ამასობაში, თურქული გრანდი „გალათასარაი“ „შალკეს“ 28 წლის გარემარბით, **ჯეფერსონ ფარფანით** დაინტერესდა და გელზენკირხენულ კლუბს მის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ „შალკეს“ ხელმძღვანელებმა თურქ კოლეგებს უარი შეუთვალეს. ცნობილია, რომ გელზენკირხენელები ფარფანში მინიმუმ 15 მილიონს ითხოვდნენ, ახლა კი ამ ფასადაც აღარ გაყიდიან.

*„თუ ვინმეს ჯეფერსონის ყიდვა უნდოდა, აქამდე უნდა მოემართა. ახლა უკვე გვიანია, რადგან ჩვენ ახალ სეზონს ფარფანთან ერთად ვგეგმავთ,“* - აცხადებს „შალკეს“ მენეჯერი **ჰორსტ ჰელდტი.**



ლეონ გორეტცკა და ბოხუმის მწვრთნელი პეტერ ნოირურერი

ტრანსფერი

# ჰალილი გერმანიაში დაბრუნდა!

## ტყუპისცალმა ალთინთოფმა აუგსბურგს მიაშურა

„აუგსბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ძლივს გადაურჩა და კლუბის ხელმძღვანელები ხვდებიან, რომ თუ გუნდი არ გააძლიერეს, ელიტაში დარჩენა მომდევნო სეზონში კიდევ უფრო გაუჭირდებათ. გუშინ გავრცელებული და ოფიციალურად დადასტურებული ინფორმაციის თანახმად, „აუგსბურგმა“ თურქი თავდამსხმელი **ჰალილ ალთინთოფი** გადაიბირა - 28 წლის ფორვარდს, რომელსაც თურქეთის ნაკრებში 28 მატჩი აქვს ჩატარებული, აუგსბურგელებმა 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ალთინთოფი ბოლოს თურქულ „ტრაბზონსპორში“ თამაშობდა და ამ კლუბთან კონტრაქტი ცოტა ხნის წინათ გაწყვიტა. როგორც გაირკვა, ტრაბზონელებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ და ჰალილს ბოლო სამი თვის ხელფასი აღებული არ ჰქონდა, რის გამოც ხელშეკრულება გააუქმა. სწორედ ამის შემდეგ შეძლო „აუგსბურგმა“ ჰალილის გადაბირება.

შეგახსენებთ, რომ ჰალილ ალთინთოფი გერმანიაში, კერძოდ გელზენკირხენში დაბადებული და გაზრდილია, „ტრაბზონში“ კი 2011 წელს, ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ გადავიდა. მას მერე ჰალილმა თურქეთის ჩემპიონატში 56 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა, მანამდე კი, გერმანიაში „შალკეს“, „კაიზერსლაუტერნისა“ და „აინტრახტის“ ღირსებას იცავდა და ბუნდესლიგის 236 შეხვედრაში 47 გოლი აქვს გატანილი. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მისი ტყუპისცალი **ჰამით ალთინთოფი** გაცილებით წარმატებული ფეხბურთელია - „ბაიერნსა“ და „რეალშიც“ თამაშობდა, ახლა კი „გალათასარაის“ ღირსებას იცავს. ჰამითისგან განსხვავებით, ჰალილს ბოლო დროს აღარც თურქეთის ნაკრებში იწვევენ - ეროვნულ გუნდში მან ბოლო შეხვედრა 2011 წლის ნოემბერში ჩაატარა.

აქვე გეტყვით, რომ „აუგსბურგმა“ „შტუტგარტიდან“ ავსტრიის 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი, ნიჭიერი ცენტრალური ნახევარმცველი **რაფაელ ჰოლცჰოიზერი** ინათხოვრა. საიჯარო ხელშეკრულებას ვადა 2014 წლის 30 ივნისამდე აქვს.




ჰალილ ალთინთოფი ბუნდესლიგაში დაბრუნდა

ამბები

### აუბამეიანგი დორტმუნდში?

ფრანგული მედიის ცნობით, გერმანიის ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი დორტმუნდის „ბორუსია“ „სენტ ეტიენის“ თავდამსხმელ **პიერ-ემერიკ აუბამეიანგის** ტრანსფერზე მუშაობს. როგორც ჩვენი ფრანგი კოლეგები იტყობინებიან, ამჟამად „დორტმუნდის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი საფრანგეთშია და „სენტ ეტიენის“ შეფებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ფრანგული გაზეთის, „პროგრესის“ ცნობით, 24 წლის აუბამეიანგის გადაბირებით რუსული კლუბი, მახაჩკალის „ანჟიცაა“ დაინტერესებული, თუმცა თავად ფეხბურთელი რუსეთში გადასვლის პერსპექტივით მაინცდამაინც მოხიბლული არაა.

გასულ სეზონში აუბამეიანგმა საფრანგეთის ჩემპიონატის 37 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა და ლომის წვლილი შეიტანა იმაში, რომ „სენტ ეტიენმა“ მეხუთე ადგილი დაიკავა. გაბონელ თავდამსხმელს ხსენებულ კლუბთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა.

### გადაწყდა: კლოზე ვოლფსბურგელია

ხანგრძლივმოლაპარაკებებს „ნიურნბერგსა“ და „ვოლფსბურგს“ შორის, როგორც იქნა, ბოლო მოეღო, რაც იმას ნიშნავს, რომ „ფრანკების“ ცენტრალური მცველი **ტიმ კლოზე** კარიერას „ვოლფსბურგში“ გააგრძელებს. შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელმა „მგლებში“ სამედიცინო შემოწმება გუშინ წარმატებით გაიარა და „ვოლფებთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ვოლფსბურგს“ 25 წლის მცველის ტრანსფერი 6 მილიონი ევრო დაუჯდა.

*„ტიმმა ბოლო წლებში უდიდესი პროგრესი განიცადა და დარწმუნებული ვარ, რომ მნიშვნელოვნად გაგვაძლიერებს,“* - ეს „ვოლფსბურგის“ თავკაც **დიტერ ჰეკინგის** სიტყვებია.

### კიევის დინამომ ბელჰანდა გაიფორმა

2011/2012 წლების სეზონში **იუნეს ბელჰანდას** „მონპელიეს“ სენსაციურ ჩემპიონობაში ლომის წვლილი მიუძღვოდა და მას მერე მისი გადაბირება არაერთ კლუბს სურდა. ახლა კი გადაწყდა, რომ 23 წლის მაროკოელი გამთამაშებელი კიევის „დინამოში“ ითამაშებს. უკრაინულმა გრანდმა „მონპელიეს“ მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

### ჰამბურგი სანტა კრუსს აჩქარებს

„ჰამბურგის“ ხელმძღვანელები **როკე სანტა კრუსის** პასუხს ელიან და როგორც ჩანს, დიდხანს აღარ დაელოდებიან. ჩრდილოგერმანული კლუბის ახალი სპორტული დირექტორი **ოლივერ კროიცერი** 31 წლის ფორვარდის პასუხს ამ დღეებში ელოდება. მისი თქმით, სანტა კრუსმა მაქსიმუმ კვირის ბოლომდე უნდა თქვას, სურს თუ არა „ჰამბურგში“ გადასვლა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. ტრანსფერები



ჯერჯერობით, პრემიერლიგის დიდი სამეულის - ჩემპიონის, ვიცე-ჩემპიონისა და მესამეადგილოსნის დამრიგებელთა შეცვლაზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა

# დიდი ცვლილებების ზღვარზე

2013/14 წლების სეზონისთვის სამზადისი გუშინ ოფიციალურად დაიწყო. წამზომი უკვე ჩართულია. გუნდებს აქამდეც ჰქონდათ შესაძლებლობა, მოთამაშეები ეყიდათ და ოფიციალურადაც კი წარედგინათ, მაგრამ იურიდიულად სატრანსფერო ბაზარი მხოლოდ 1 ივლისს გაიხსნა. ჯერჯერობით კონკრეტულ ტენდენციაზე ლაპარაკი ზედმეტია. გუნდების უმრავლესობამ ამ ეტაპზე მხოლოდ ის მოახერხა, რომ ზედმეტი ფეხბურთელებისგან გათავისუფლდა. თუმცა მაინც შეიძლება ყველაზე აქტიური (ლივერპული) და ყველაზე მხარჯველი გუნდის (მანჩესტერ სიტი) დასახელება. განსაკუთრებულად ხმაურიანი გარიგება აქამდე არ დადებულა. წინა სეზონისგან მთავარი განსხვავება ის არის, რომ ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტებს - „მანჩესტერ იუნაიტედს“, „მანჩესტერ სიტისა“ და „ჩელსის“ ახალი მთავარი მწვრთნელები ჰყავთ.

### მანჩესტერ იუნაიტედი

**მივიდნენ**: გილერმე ვარელა (პენიაროლი) - 1.75 მლნ ევრო; ბებე (რიუ ავე) - იჯარა დაუმთავრდა; ფედერიკო მაკედა (შტიუტგარტი) - იჯარა დაუმთავრდა

**წავიდნენ**: რის ბრაუნი (?) - თ.ა; შონ მაკგინტი (შეფილდ იუნაიტედი) - თ.ა; ჯონ კოფი (?) - თა; ლუკ მაკალოხი (?) - თა; პოლ სქოულზი (კარიერა დაასრულა)

### მანჩესტერ სიტი

**მივიდნენ**: ფერნანდინიო (შახტარი) - 40 მლნ, ხესუს ნავასი (სევილია) - 20 მლნ; როკე სანტა კრუსი (მალაგა) - იჯარა დაუმთავრდა;

**წავიდნენ**: კარლოს ტევესი (იუვენტუსი) - 9 მლნ, როკე სანტა კრუსი (?) - თ.ა; კოლო ტურე (ლივერპული) - თ.ა; უეინ ბრიჯი (რედინგი) - თ.ა;

### ჩელსი

**მივიდნენ**: ანდრე შიურლე (ლევერკუზენი) - 22 მლნ; ჯეფრი ბრუმა (ჰამბურგი) - იჯარა დაუმთავრდა; პატრიკ ვან აანჰოლტი (ვიტესი) - იჯარა დაუმთავრდა; კევინ დე ბრუინი (ვერდერი) - იჯარა დაუმთავრდა; გაელ კაკუტა (ვიტესი) - იჯარა დაუმთავრდა; უოლასი (ფლუმინენსე) - იჯარა დაუმთავრდა; ლუკას პიაზონი (მალაგა) - იჯარა დაუმთავრდა; ტომას კალაში (ვიტესი) - იჯარა დაუმთავრდა; ულისეს და ვილა (საბადელი) - იჯარა დაუმთავრდა; ტორგან აზარი (ვარეგემი) - იჯარა დაუმთავრდა; მიკაელ ესიენი (რეალი) - იჯარა დაუმთავრდა; რომელუ ლუკაკუ (ვესტ ბრომვიჩი) - იჯარა დაუმთავრდა; მატეი დელაჩი (ინტერი, ხორვატია) - იჯარა დაუმთავრდა;

**წავიდნენ**: ჯეფრი ბრუმა (ეინდჰოვენი) - 2.95 მლნ; იოსი ბენაიუნი (?) - თ.ა; როს ტერნბული (?) - თ.ა; ამინ აფანე (კოტბუსი) - თ.ა; ჯორჯ სავილი (ბრენტფორდი) - იჯარა; ენრიკე ილარიო (?) - თ.ა; ფლორან მალუდა (?) - თ.ა; არჩანგელ ნკუმუ (?) - თ.ა; ტოდ კეინი (ბლექბერნი) - იჯარა; მარკო მარინი (სევილია) - იჯარა; პაულო ფერეირა (კარიერა დაასრულა)

### არსენალი

**მივიდნენ**: იაია სანოგო (ოსერი) - თ.ა; დენილსონი (სან პაულო) - იჯარა დაუმთავრდა; ველინგტონ სილვა (პორფერადინა) - იჯარა დაუმთავრდა; ნიკლას ბენდტნერი (იუვენტუსი) - იჯარა დაუმთავრდა; ანდრე სანტოსი (გრემიო) - იჯარა დაუმთავრდა; ჯოელ კემპბელი (ბეტისი) - იჯარა დაუმთავრდა; ჩუ-იუნგ პარკი (სელტა) - იჯარა დაუმთავრდა; იოან ჯურუ (ჰანოვერი) - იჯარა დაუმთავრდა;

**წავიდნენ**: მარტინ ანგა (ნიურნბერგი) - თ.ა; კაილ ებესილიო (ტვენტე) - თ.ა; ჯორდან ვინტერი (ბრისტოლ სიტი) - თ.ა; სეად ჰაიროვიჩი (?) - თ.ა; ჯორდან მიდი (?) - თ.ა; ჯოშ რისი (?) - თ.ა; ფილიპ რობერტსი (?) - თ.ა; ჯეიმს ში (?) - თ.ა; დენილსონი (სან პაულო) - თ.ა; სებასტიან სკილაჩი (?) - თ.ა; კრეიგ ისტმონდი (კოლჩესტერი) - თ.ა; ელტონ მონტეირო (ბრიუგე) - თ.ა; სამირ ბიმუტინი (?) - თ.ა; კონორ ჰენდერსონი (?) - თ.ა; ნაიჯელ ნეიტა (?) - თ.ა; სანჩეს ვატი (კოლჩესტერი) - თ.ა; რის ჩარლზ კუკი (?) - თ.ა; ანდრეი არშავინი (ზენიტი) - თ.ა;

### ტოტენჰემი

**მივიდნენ**: შაკილ კულტერსტი (დუბლები), ბონგანი ხუმალო (პაოკ) - იჯარა დაუმთავრდა; ეურელიო გომესი (ჰოფენჰაიმი) - იჯარა დაუმთავრდა; რაიან მეისონი (ლორიანი) - იჯარა დაუმთავრდა; ჯონ ბოსტოკი (ტორონტო);

**წავიდნენ**: ვილიამ გალასი (?) - თ.ა; ჯონ ბოსტოკი (?) - თ.ა; ჯეკ მანსი (?) - თ.ა; დინ პარეტი (?) - თ.ა; ჯეკ ბარტრემი (სუინდონი) - თ.ა; დევიდ ბენტლი (?) - თ.ა; ჯეიკ ნიკოლსონი (?) - თ.ა;

### ევერტონი

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: მაგაი გუიე (ბრესტი) - იჯარა; იან მუხა (?) - თ.ა; თომას ჰიტცლშპერგერი (?) - თ.ა; ჯეიკ ბიდუელი (ბრენტფორდი) - ?; ფილ ნევილი (კარიერა დაასრულა)

### ლივერპული

**მივიდნენ**: სიმონ მინიოლე (სანდერლენდი) - 10.6 მლნ; იაგო ასპასი (სელტა) - 8.2 მლნ; ლუის ალბერტო (სევილია) - 8.0 მლნ, კოლო ტურე (მანჩესტერ სიტი) - თ.ა; ლოიდ ჯონსი (დუბლები); დანი პაჩეკო (უესკა) - იჯარა დაუმთავრდა;

**წავიდნენ**: ენდი კეროლი (ვესტ ჰემი) - 17.5 მლნ; დენი უილსონი (ჰართსი) - თ.ა; პეტერ გულაში (რედ ბული) - თ.ა; ჯეიმი კარაგერი (კარიერა დაასრულა)

### ვესტ ბრომვიჩი

**მივიდნენ**: ჯეკ როუზი (დუბლები)

**წავიდნენ**: რომენ სოიერსი (?) - თა; ზოლტან გერა (?) - თ.ა; ჯერომ ტომასი (კრისტალ პალასი) - თ.ა; მარკ ანდრე ფორჩუნი (?) - თ.ა; გონსალო ხარა (ნოტინგემ ფორესტი) - თ.ა; რომელუ ლუკაკუ (ჩელსი) - იჯარა დაუმთავრდა;

### სუონსი

**მივიდნენ**: ხორდი ამატი (ესპანიოლი) - 2.9 მლნ; ხოსე ალბერტო კანიასი (ბეტისი) - თ.ა;

**წავიდნენ**: მარკ გოვერი (ჩარლტონი) - თ.ა; იტაი შეხტერი (კაიზერსლაუტერნი) - იჯარა;

### ვესტ ჰემი

**მივიდნენ**: ენდი კეროლი (ლივერპული) - 17.5 მლნ; რაზვან რაცი (შახტარი) - თ.ა; ადრიანი (ბეტისი) - თ.ა; დენიელ უაიტჰედი (სტოკპორტი) - ?; ალუ დიარა (რენი) - იჯარა;

**წავიდნენ**: კარლტონ კოული (?) - თ.ა; ემანუელ პოგატეცი (ვოლფსბურგი) - იჯარა დაუმთვრდა;

### ნორვიჩი

**მივიდნენ**: რიკი ვან ვოლფსვინკელი (სპორტინგი) - 10 მლნ; ხავიერ გარიდო (ლაციო) - 1,5 მლნ;

**წავიდნენ**: კრის მარტინი (დერბი) - თ.ა; მარკ ტირნი (ბოლტონი) - თ.ა; ელიოტ ვორდი (ბორნმუთი) - თ.ა; ლი კემპი (?) - თ.ა; დეკლან რადი (პრესტონი) - იჯარა; სიმეონ ჯექსონი (?)- თ.ა; ტომ ადეიემი (ბირმინგემი) - თ.ა; კორი სმიტი (ოლდჰემი) - თ.ა; ჯორჯ ფრენკომბი (უიმბლდონი) - თ.ა; იედ სტეერი (ასტონ ვილა) - თ.ა;

### ფულჰემი

**მივიდნენ**: მარტენ სტეკელენბურგი (რომა) - 5.6 მლნ; საშა რიტერი (კიოლნი) - 1.4 მლნ; ფერნანდო ამორებიეტა (ატლეტიკი) - თ.ა; დერეკ ბოატენგი (დნიპრო) - თ.ა; კორი გამეირო (ველინგტონი) - იჯარა; ფატიმ კასამი (ლუცერნი) - იჯარა;

**წავიდნენ**: გიორგიოს კარაგუნისი (?) - თ.ა; მარკ შვარცერი (?) - თ.ა; კრის ბერდი (?)- თ.ა; კორი გარეირო (?) - თ.ა; რიჩარკ პეკინეტი (?) - თ.ა; საიმონ დევისი (?) - თ.ა; მლადენ პეტრიჩი (?) - თ.ა; მამადუ დიარა (?) - თ.ა; სკაბა სომოგი (?) - თ.ა; ალექს სმიტი (სუინდონი) - თ.ა; სტანისლავ მანოლევი (ეინდჰოვენი) - იჯარა დაუმთავრდა; ეიონგ ენო (აიაქსი) - იჯარა დაუმთავრდა, ურბი ემანუელსონი (მილანი) - იჯარა დაუმთავრდა;

### სტოკ სიტი

**მივიდნენ**: ერიკ პიტერსი (ეინდჰოვენი) - 3.6 მლნ; მორის ედუ (ბურსასპორი) - იჯარა;

**წავიდნენ**: კარლო ნეში (?) - თ.ა; დინ უაიტჰედი (?) - თ.ა; მამადი სიდიბე (?) - თ.ა; რორი დელაპი (?) - თ.ა; მეტიუ აპსონი (?) - თ.ა; მეტიუ ლუნდი (როჩდეილი) - თ.ა; მაიკლ ოუენი (კარიერა დაასრულა)

### საუთჰემპტონი

**მივიდნენ**: დეიან ლოვრენი (ლიონი) - 10 მლნ, ტადანარი ლი (ტოკიო) - იჯარა;

**წავიდნენ**: ბენ რივსი (?) - თ.ა; ტომი ფოურკესტი (?) - თ.ა; დენი ბატერფილდი (?) - თ.ა; სემ ჰოსკინსი (იოვილი) - თ.ა; ფრეიზერ რიჩარდსონი (?) - თ.ა; ალბერტო სეიდი (?) - თ.ა; დენი სიბორნი (?) - თ.ა; რაიან დიკსონი (?) - თ.ა;

### ასტონ ვილა

**მივიდნენ**: ჟორეს ოკორე (ნორდშელანი) - 7.7 მლნ; ალექსანდრ ტონევი (ლეხი) - 3.2 მლნ, ანტონიო ლუნა (სევილია); ნიკლას ჰელენიუსი (ალბორგი) - 1.4 მლნ, ლეანდრო ბაკუნა (გრონინგენი) - 1 მლნ; იედ სტეერი (ნორვიჩი) - თ.ა; ჟან მაკუნი (რენი) - იჯარა დაუმთავრდა; ალან ჰატონი (მალიორკა) - იჯარა დაუმთავრდა;

**წავიდნენ**: ჟან მაკუნი (რენი) - 3 მლნ; ენდი მარშალი (?) - თ.ა; რიჩარდ დანი (?) - თ.ა; ბრეტ ჰოლმანი (ალ-ნასრი) - თ.ა; ერიკ ლიშაი (ნოტინგემ ფორესტი) - თ.ა; დერეკ უილიამსი (ბრისტოლ სიტი) - თ.ა;

### ნიუკასლი

**მივიდნენ**: არავინ

**წავიდნენ**: სტივ ჰარპერი (?) - თ.ა; დენი სიმპსონი (ქუინზ პარკი) - თ.ა;

### სანდერლენდი

**მივიდნენ**: დევიდ კარლსონი (გიოტებორგი) - 1.75 მლნ; მოდიბო დიაკიტე (ლაციო) - თ.ა; კაბრალი (ბაზელი) - თ.ა; ვალენტინ რობერჟი (მარიტიმუ) - თ.ა; დანკან უოტმორი (ალტრინჩემი) - ?; დონ ვონ ჟი (აუგსბურგი) - იჯარა;

**წავიდნენ**: სიმონ მინიოლე (ლივერპული) - 10.6 მლნ, აჰმედ ელ-მოჰამადი (ჰალ სიტი) - 2.3 მლნ; რაიან ნოუბლი (?) - თ.ა; მეტიუ კილგალონი (?) - თ.ა; ბენ უილსონი (?) - თ.ა; ტიტუს ბრამბლი (?) - თ.ა; ადამ რედი (ბარტონი) - თ.ა; კადერ მანგანე (ალ ჰილალი) - იჯარა;

### კარდიფი

**მივიდნენ**: ანდრეას კორნელიუსი (კოპენჰაგენი) - 8.7 მლნ;

**წავიდნენ**: სტივენ მაკფეილი (?) - თ.ა; ნატანიელ ჯარვისი (?) - თ.ა; ჰეიდარ ჰელგუსონი (?) - თ.ა; იესე დარკო (?) - თ.ა; ელიოტ პერიში (?) - თ.ა;

### ჰალ სიტი

**მივიდნენ**: კერტის დევისი (ბირმინგემი) - 2.65 მლნ; აჰმედ ელმოჰამადი (სანდერლენდი) - 2.3 მლნ; ჯორჯ ბოიდი (პიტერბორო) - თ.ა; მეინორ ფიგეროა (უიგანი) - თ.ა;

**წავიდნენ**: ჯეი სიმპსონი (?) - თ.ა; დენი ისტი (პორტსმუთი) - თ.ა; ენდი დოუსონი (სკანტორპი) - თ.ა; დენიელ ემერტონი (?) - თ.ა; ფრენსის მაკეფი (?) - თ.ა; სონი ბრედლი (პორტსმუთი) - თ.ა; მარკ კალენი (ლუტონი) - თ.ა; ჯეიმი დევიტი (?) - თ.ა; სეი ოლოფინჯანა (?) - თ.ა; პოლ მაკენა (?) - თ.ა; გედო (ელ აჰლი) - - იჯარა;

### კრისტალ პალასი

**მივიდნენ**: ჯერომ ტომასი (ვესტ ბრომვიჩი) - თ.ა; ანტონიო პედროსა (მონარკას მორელია) -თ.ა;

**წავიდნენ**: ჯერმეინ ისტერი (მილუოლი) - თ.ა;

ამბები

## მოიესმა თანაშემწეებს უხმო

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვებგვერდის ცნობით, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დევიდ მოიესმა** გუშინ ბოლომდე დააკომპლექტა სამწვრთნელო შტაბი. 49 წლის შოტლანდიელს გუნდის განვრთნაში დაეხმარებიან: **სტივ რაუნდი** (42 წლის, პირველი ასისტენტი), **ჯიმი ლამსდენი** (65, ასისტენტი) და **კრის ვუდსი** (53, მეკარეთა მწვრთნელი). „აონ-ის სანვრთნელ კომპლექსში“ (ამიერიდან ასე ენოდება „კერინგტონის“ ბაზას) ისინი **მაიკ ფელანს, ერიკ სტილსა** და **რენე მალენსტენს** ჩაანაცვლებენ. *„სტივთან, ჯიმისთან და კრისთან წლების განმავლობაში ვმუშაობდი და ვიცი, რა დონის პროფესიონალებიც არიან. მოხარული ვარ, რომ თანხმობა თქვეს „იუნაიტედში“ მუშაობაზე. თითოეული მათგანი უზარმაზარ გამოცდილებას ფლობს იმ სფეროში, რომლის კურირებასაც მათ ჩავაბარებთ. ისინი ალტაცებულნი არიან ახალი გამოწვევით,“* - განაცხადა მოიესმა.

## ლიონი ადასტურებს

„ლიონის“ პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** ადასტურებს, რომ კლუბმა ოფიციალური შეთავაზება მიიღო „სუონსისგან“ „ლომებისა“ და საფრანგეთის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელის **ბაფეტიმბი გომისის**



ბაფეტიმბი გომისი

ტრანსფერზე. *„დიახ, უელსელები თავად გვეწვივნენ და მოლაპარაკებათა გამართვა შემოგვთავაზეს. ფეხბურთელმა უკვე იცის, რომ პრემიერლიგელები მას უფრო მეტს გადაუხდიან, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია შევთავაზოთ,“* - განაცხადა „ეკიპთან“ საუბრისას პრეზიდენტმა.

## ვესტ ბრომვიჩის არჩევანი

2012/13 წლების პრემიერლიგის ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელი **რომელუ ლუკაკუ** „ვესტ ბრომვიჩში“ იჯარით თამაშობდა. ხელშეკრულების დასრულების შემდეგ კი „ჩელსის“ დაუბრუნდა. დარჩება თუ არა ბელგიელი „სტემფორდ ბრიჯზე“, ეს ჯერ არ გარკვეულა. **სტივ კლარკის** გუნდი ლონდონელთა გადაწყვეტილებას ვერ დაელოდება. ის უახლოეს მომავალში აპირებს გუნდის სრულად დაკომპლექტებას. შოტლანდიელი სპეციალისტი ამჟამად ორ კანდიდატურას განიხილავს: **დემბა ბას** იმავე „ჩელსიდან“ და **ნიკოლა ანელკას**, ვინც ბოლოს „იუვენტუსში“ თამაშობდა, მაგრამ ახლა თავისუფალი აგენტია. ისე, სერიოზულად გვეეჭვება, ერთმა ან მეორემ ლუკაკუს სრულყოფილად შეცვლა მოახერხოს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**





ნიკოლა ანელკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლი

# კალეხონი ნაპოლის შეუთანხმდა

## სამხრეთელებმა სანტოსის მეკარე დაიმატეს

ერთ-ერთ წინა ნომერში გაუწყეთ, რომ „ნაპოლის" მესვეურები მადრიდის „რეალის" შემტევით, **ხოსე კალეხონით** არიან დაინტერესებულნი. ამ მიმართულებით ნეაპოლელებს უკვე გადაუდგამთ ნაბიჯები და მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიუღწევიათ. „კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იტალიელები უკვე შეუთანხმდნენ თავად ფეხბურთელს და კალეხონმა მზადყოფნა გამოთქვა, კარიერა „ნაპოლიში" გააგრძელოს. ტრანსფერს წინ მხოლოდ „რეალთან" შეთანხმება უდგას და ამ მიმართულებითაც გვაქვს სიახლეები...

მადრიდელები ხოსეს სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს ითხოვენ, ნეაპოლელები კი მზად არიან, ესპანელთა ბიუჯეტში 7.5 მილიონი გადარიცხონ. წესით, მხარეები მარტივად უნდა შეთანხმდნენ, რადგან თვითონ ფეხბურთელს სწორედ იტალიის სამხრეთში სურს გადაბარგება. არადა, კალეხონის გადაბირებით „ფიორენტინა" და „ლივერპული" არიან დაინტერესებულნი.

### ბრაზილიელი მეკარე ნეაპოლში

„ნაპოლის" ბანაკში კიდევ ერთი სიახლეა - უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მომდევნო სეზონიდან გუნდის ღირსებას **რაფაელ კაბრალი** დაიცავს. აქვე აღვნიშნოთ, რომ რაფაელი „სანტოსის" მეკარეა და ნეაპოლში სწორედ ამ გუნდიდან გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი მხოლოდ 23 წლისაა, „სანტოსის" შემადგენლობაში 114 მატჩი აქვს ჩატარებული. რაფაელი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში სამჯერ გამოიძახეს და სამუნდიალე განაცხადში მოხვედრის რეალური კანდიდატია. ნეაპოლელები მის სანაცვლოდ 5.5 მილიონ ევროს გადაიხდიან, კონტრაქტის გაფორმებას კი წინ მხოლოდ სამედიცინო შემოწმება უდგას.



ხოსე კალეხონი

ჯენოა

# იმობილე ვესტ ჰემს ვერ შეუთანხმდა

„ჯენოას" მესვეურები **ჩირო იმობილეს** სარფიანად გაყიდვას ცდილობენ, თუმცა ეს საქმე მთლად კარგად არ გამოსდით. 21 წლის ფორვარდის საბაზრო ღირებულება 15 მილიონი ევროა, რომლის გადახდის სურვილი მხოლოდ ინგლისურ „ვესტ ჰემს" გამოუთქვამს, თუმცა მხარეები ვერც ამ შემთხვევაში შეთანხმდნენ და თუ რატომ, ამაზე ფეხბურთელის პირადი აგენტი ისაუბრებს:

„იმობილეს უფრო ამბიციურ გუნდში სურს გადასვლა, მაგრამ ჯერჯერობით, ამ საქმეს არ დაადგა საშველი. „ჯენოას" მესვეურები 15 მილიონ ევროს ითხოვენ, აღნიშნული თანხის გადახდაზე კი მზადყოფნა მხოლოდ „ვესტ ჰემის" მესვეურებმა გამოთქვეს... თუმცა მოლაპარაკება ჩვენ ჩავშალეთ, რადგან ინგლისელები წლიურ გასამრჯელოს იმაზე გაცილებით ცოტას გვთავაზობდნენ, ვიდრე ვითხოვთ. ჩირო მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს „ჯენოას", თუ გაუმჯობესებულ კონტრაქტს მიიღებს და ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, მე მაინც მგონია, რომ აგვისტოს ბოლომდე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს".

იმობილეს აგენტის ამ განცხადებას იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა - ჟურნალისტებმა დაგმეს ფეხბურთელის პოზიცია, პათოსი კი ასეთია: ახალგაზრდა მოთამაშისთვის სპორტული მოტივაცია უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ფინანსური ინტერესები. შეგახსენებთ, რომ იმობილე იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრია, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი დაიკავა.



ჩირო იმობილე

კიევო



ჯუზეპე სანინო „მფრინავ ვირებს" გაწვრთნის

# სანინო კიევოს მწვრთნელია

მომდევნო სეზონიდან, „კიევოს" მთავარი მწვრთნელი **ჯუზეპე სანინო** იქნება. 56 წლის სპეციალისტმა **ეუჯენიო კორინი** ჩაანაცვლა, რომელმაც გასულ სეზონში გუნდი მე-12 ადგილზე გაიყვანა. რაც შეეხება სანინოს, მისთვის გასული ჩემპიონატი მეტად მშფოთვარე გამოდგა, რადგან „პალერმოს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ორჯერ დანიშნეს და ამდენჯერვე გაათავისუფლეს.

სანინოსთვის „კიევო" მე-13 გუნდი იქნება, სახელი კი „სიენაში" მუშაობით გაითქვა. ჯუზეპეს თქმით, ვერონულ გუნდს ჩემპიონატის ზედა ათეულში დასრულება შეუძლია და მომდევნო სეზონის მიზანიც ეს იქნება.

სამპდორია

# სამპა ბორინით დაინტერესდა

## იკარდის ედერიც მიჰყვება

„კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „სამპდორიას" მესვეურები **ფაბიო ბორინის** გადაბირებით დაინტერესდნენ და მერსისაიდელ კოლეგებთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებენ. ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ მაღალია, რადგან ბორინიმ „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში ვერ დაიმკვიდრა ადგილი და წესით, ინგლისელებს მასთან განშორება არ უნდა გაუჭირდეთ. რაც შეეხება „სამპას", გუნდი 20 წლის **მაურო იკარდიმ** დატოვა და მისი ღირსეული შემცვლელის მოძებნაა საჭირო - თუ



ფაბიო ბორინი

არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ იკარდი ამპლუით თავდამსხმელია; 22 წლის ბორინიც ფორვარდია და გენუელთა ინტერესიც სრულიად ბუნებრივი და ლოგიკურია...

ამასობაში, „სამპდორიადან" აბარგების სურვილი გამოთქვა კიდევ ერთმა თავდამსხმელმა, **ედერმა** და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისიც აისრულებს სანადელს. 26 წლის შემტევს ბრაზილიაში სურს დაბრუნება, საიდანაც რამდენიმე შეთავაზება ჰქონია. ედერი ბრაზილიელია და აცხადებს, რომ ოჯახური პრობლემების გამო, სწორედ სამშობლოში სურს დაბრუნება - ამ თემაზე კომენტარი „სამპდორიას" პრეზიდენტმა, რიკარდო გარონემ გააკეთა:

„ედერს წასვლა სურს და მის შეფერხებას ნამდვილად არ ვაპირებთ. გუნდის წინაშე დიდი დამსახურება აქვს და მის პოზიციას აუცილებლად გავითვალისწინებთ. მართალია, მისით დაინტერესებული კლუბებისგან წინადადება ჯერ არ მიგვიღია, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში მივიღებთ. ედერთან კიდევ ერთხელ ვაპირებ დალაპარაკებას და არც იმას გამოვრიცხავ, რომ აზრი შეაცვლევინო - მით უმეტეს, ჩვენ უკვე გავუშვით მაურო იკარდი და შეტევაში ისედაც არ გვილხინს".

სავარაუდო ტრანსფერი

# გაბიადინი ლაციოში?

## რომაელები ფორვარდს ეძებენ

**მანოლო გაბიადინის** გადაბირება რომ არაერთ იტალიურ გრანდს სურს, აპენინურ სპორტულ პრესაში ხშირად იწერება და დროა, ამ თემას ჩვენც შევეხოთ. 21 წლის ფირვარდი „იუვენტუსის" საკუთრებაშია და შესაბამისად, მსურველები სწორედ ტურინელებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. აქვე ვთქვათ, რომ „იუვემ" მანოლო „ატალანტასგან" გამოისყიდა და გასულ სეზონში, „ბოლონიაში" ჰყავდა განათხოვრებული. მართალია, გაბიადინი უნიჭიერესი შემტევია და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლება, მაგრამ ტურინულ გრანდში არსებული მძაფრი კონკურენციის გამო, „იუვეში" ასპარეზობის საშუალება ჯერ კიდევ არ ეძლევა. ამიტომ, თვითონ ფეხბურთელმა გამოთქვა სურვილი, რომ კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს და სრულფასოვანი კონტრაქტი გააფორმოს. აქამდე გაბიადინის მიმართულებით ყველაზე მეტად „ინტერის" მესვეურები აქტიურობდნენ, ბოლო პერიოდში კი წინა პლანზე „ლაციომ" წამოიწია. „გაძეტა დელო სპორტის" მიერ გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საკმაოდ დიდია იმის შანსი, რომ მანოლომ მომდევნო სეზონიდან სწორედ „ბიანკოჩელესტეში" იასპარეზოს.

გასულ სეზონში, **მიროსლავ კლოზე** ტრავმებმა გატანჯეს და „ლაციოს" თავკაცი **ვლადიმირ პეტკოვიჩი** ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა. ერთი ხანობა, **სერჯო ფლოკარის** ათამაშებამ უშველა, თუმცა ჩავარდნას მაინც ვერ ასცდა და სეზონის პირველ ეტაპზე სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდი, ევროზონას ჩამოცდა. მართალია, რომაელებმა იტალიის თასი მოიპოვეს და ამ გზით გავიდნენ ევროპალიგაზე, მაგრამ სერია A-ს მეორე ეტაპის ჩაგდება ფაქტად რჩება. ანუ, რომაელებს თავდამსხმელი სჭირდებათ და კლუბის სპორტული დირექტორი **იგლი ტარე** ამას არც უარყოფს:

„გაბიადინის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკება მიმდინარეობს, რომელიც იმედია წარმატებით დასრულდება. მანოლოს გადაბირება ისეთ გუნდებს სურთ, როგორებიც „ინტერი" და „ფიორენტინა" არიან, თუმცა თავად ფეხბურთელს ჩვენსკენ მოუწევს გული. უახლოეს დღეებში, მანოლოს კიდევ ერთხელ შევხვდები, რადგან მასთან პირად დეტალებზე შეთანხმება, მიზნისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება".



მანოლო გაბიადინი

ფიორენტინა

# იოვეტიჩი რეალის სამიზნეში

## და პირიქით...

23 წლის **სტევან იოვეტიჩმა** დაახლოებით ერთი თვის წინ განაცხადა, რომ „ფიორენტინაში" შესაძლებლობები ამოწურა და სურს, კარიერა ევროპის რომელიმე გრანდში გააგრძელოს. „მედიასეტის" ცნობით, ხვალ იოვეტიჩის პირადი აგენტი მადრიდის „რეალის" მესვეურებს შეხვდება და მოლაპარაკების პროცესიც დაიძრება.

იტალიელ ჟურნალისტთა მტკიცებით, მადრიდელები უკვე არიან მზად, სტევანის სანაცვლოდ 22 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმცა ფლორენციელები 30 მილიონს ფეხს არ უცვლიან. ამბობენ, რომ ფინანსურ საკითხებში იოვეტიჩიც აპირებს ჩარევას და ის პირადად შეეცდება, რომ ტოსკანური კლუბის მესვეურებს თანხა დააწევინოს. მოკლედ, მადრიდულ-ფლორენციული მოლაპარაკება იწყება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

აღნიშნული ცნობა სხვა კუთხითაც საინტერესოა - თუ „რეალმა" სტევან იოვეტიჩი გადაიბირა, დიდი ალბათობით, **ედინსონ კავანის** შეეშვება. არადა, ნეაპოლური კლუბის მესვეურთა მტკიცებით, 26 წლის ურუგვაელის გადაბირების სურვილი ჯერჯერობით მხოლოდ „სამეფო კლუბმა" გამოთქვა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



სტევან იოვეტიჩი „ფიორენტინადან" წასვლას ცდილობს

კონფედერაციათა თასი. ბრაზილია 2013. ფინალი და ლაურეატები

# სამბა: ნეიმარტივი გამარჯვება

## ნეიმარმა და ფრედმა ესპანეთი დაასამარეს



| ბრაზილია-ესპანეთი | 3:0 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 ფრედი (2), 2:0 ნეიმარი (44), 3:0 ფრედი (47)

**ბრაზილია (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო - პაულინიო (88. ერნანესი), ლუის გუსტავო - ჰალკი (73. ჟადსონი), ოსკარი, ნეიმარი - ფრედი (80. ჟო)

**ესპანეთი (4-3-2-1):** კასილიასი - არბელოა (46. ასპილიკუეტა), სერხიო რამოსი, პიკე, ალბა - ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა - პედრო, მატა (52. ხესუს ნავასი) - ფ. ტორესი (59. ვილია)

**გამოუყენებელი პენალტი:** სერხიო რამოსი (54. ააცილა)

**გაფრთხილება:** არბელოა, სერხიო რამოსი

**გაძევება:** პიკე (68. ესპანეთი)

**კუთხური:** 1-8; **ჯარიმა:** 26-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 14-15 (8-7); **ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 73 531

**ბომბარდირები:** 5 - ფერნანდო ტორესი (ესპანეთი), ფრედი (ბრაზილია); 4 - ნეიმარი (ბრაზილია), აბელ ერნანდესი (ურუგვაი); 3 - ხავიერ ერნანდესი (მექსიკა), ნამდი ოდუამადი (ნიგერია), დავიდ ვილია (ესპანეთი), ედინსონ კავანი (ურუგვაი), ლუის სუარესი (ურუგვაი)

2013 წლის კონფედერაციათა თასი იმ ორი გუნდის დაპირისპირებით დასრულდა, ვისაც ტურნირის დაწყების წინ სპეციალისტები ფავორიტებად მიიჩნევდნენ. ფინალურ შეხვედრაში **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდმა მეტოქეს ერთი თავით აჯობა, ოფიციალურ ტურნირებზე 29-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტა და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. „სელესაომ" ეს ტურნირი ზედიზე მესამედ, სულ კი მეოთხედ მოიგო. ესპანეთთან მოპოვებული გამარჯვება ბრაზილიისთვის ამ ტურნირზე ზედიზედ მე-12 იყო, რაც აბსოლუტური რეკორდია.

მატჩი სტუმრებისთვის კატასტროფულად დაიწყო და უკვე მე-2 წუთზე ესპანელთა საჯარიმოში წაქცეულმა **ფრედმა** დარტყმა მაინც მოახერხა და „სელესაო" დააწინაურა. ეს იყო 24-ე შემთხვევა, როდესაც ბრაზილიამ კონფედერაციათა თასზე ანგარიში გახსნა. წინა 23 ასეთი მატჩიდან „პენტაკამპეონებს" 21 მოგებული, 2 კი ფრედ დასრულებული ჰქონდათ.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ესპანეთს ერთადერთი რეალური მომენტი ჰქონდა, მაგრამ **პედრომ**, რომელიც კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ **ჟულიო სეზართან** პირისპირ აღმოჩნდა, გატანა ვერ შეძლო - ბურთი კარის ხაზიდან **დავიდ ლუისმა** გამოიტანა. ამ გამოუყენებელი ეპიზოდის გამო პირენეელები დაისაჯნენ და **ნეიმარმა** საკუთარი გუნდის უპირატესობა ორამდე გაზარდა.

ყველაფერი კი მეორე ტაიმის დებიუტში დასრულდა, როდესაც ფრედმა დუბლი გაიფორმა და ტაბლოზე დიდი ანგარიში დააფიქსირა. რამდენიმე წუთში ესპანეთს გაბრძოლების შანსი მიეცა: **მარსელომ** საჯარიმოში **ხესუს ნავასი** წააქცია, მაგრამ პენალტის დასარტყმელად, რატომღაც, **სერხიო რამოსი** მივიდა და მადრიდის „რეალის" მცველმა ბურთი კარს ააცილა. დარჩენილ წუთებში გუნდებმა რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა. საბოლოოდ, 3:0 და ბრაზილიამ კონფედერაციათა თასის ყველაზე წარმატებული გუნდის სტატუსი განიმტკიცა.

### საუკეთესო ფეხბურთელი

### ნეიმარი (ბრაზილია)

ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშედ ნეიმარი დაასახელეს. „ბარსელონას" ახალწვეულმა მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა. გარდა იმისა, რომ მატჩის მეორე და ალბათ გადამწყვეტი გოლი გაიტანა, 21 წლის ფორვარდი ძალიან აქტიური იყო. პირველ ტაიმში მის წინააღმდეგ უხეშობისთვის, არბიტრს **ალვარო არბელოას** გაძევება მართებდა, მაგრამ **ბიორნ კუიპერსმა** ესპანელი დაინდო, სამაგიეროდ მეორე ტაიმში, როდესაც ნეიმარის დრიბლინგი **ჟერარდ პიკემ** შეაჩერა, ჰოლანდიელმა მსაჯმა პრინციპულობა გამოიჩინა და ბრაზილიელის მომავალი თანაგუნდელი გააძევა.

ალსანიშნავია, რომ ბრაზილიის მიერ ჩატარებული 5 მატჩიდან 4-ში საუკეთესოდ სწორედ ნეიმარი დაასახელეს.

### მატჩის შემდეგ

**ლუიშ ფელიპე სკოლარი** (ბრაზილია): *„მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ ასეთ შედეგს არავინ ელოდა. ეს გამარჯვება ტიტულზე მეტია, რადგან გაცილებით თავდაჯერებულნი გავხდებით და გვეცოდინება, რომ ძლიერ გუნდებთან გამარჯვების მოპოვება შეგვიძლია. 2004 წელს, პორტუგალიის ნაკრებთან ერთად სახლში დავმარცხდი და ეს ძალიან მტკივნეული იყო, თუმცა ბედისწერამ დღეს მეორე შანსი მომცა, რომელიც გამოვიყენე. მინდა ეს გამარჯვება ჩვენს გულშემატკივრებს მივუძღვნა".*

**ვისენტე დელ ბოსკე** (ესპანეთი): *„რა თქმა უნდა, წაგება მტკივნეულია, მაგრამ საბოლოო ჯამში, კონფედერაციათა თასზე კარგად გამოვედით. მინდა მხოლოდ დადებითზე ვიფიქრო. მე საოცარი ფეხბურთლები მყავს, რომლებმაც ამ 28 დღის განმავლობაში წარმატებისთვის ყველაფერი გააკეთეს. ის ეპიზოდი, როდესაც დავიდ ლუისმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა, გადამწყვეტი მომენტი იყო, რადგან 1:1-ის ნაცვლად, 0:2 მივიღეთ, მაგრამ ახლა მცირე დეტალებზე საუბარს აზრი არ აქვს, რადგან დღეს ბრაზილია ჩვენზე ძლიერი გუნდი იყო".*

### ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი

### ნეიმარი (ბრაზილია)

დიდად გასაკვირი ნამდვილად არ იყო ის ფაქტი, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ბრაზილიელთა ათიანი დაასახელეს. ნეიმარი „სელესაოს" ლიდერი იყო და იმ „სპეციალისტებს", ვისაც (რატომღაც) აქამდე მისი თამაში ნორმალურად ნანახი არ ჰქონდათ, აჩვენა, ხოლო იმათ, ვინც მას ისედაც კარგად ვიცნობდით, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

ვერცხლის ბურთი **ანდრეს ინიესტამ** მიიღო, ხოლო ბრინჯაოს ბურთის მფლობელი **პაულინიო** გახდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ნეიმარიც და პაულინიოც ეროვნულ ნაკრებში **მანო მენეზეშის** მოღვაწეობის პერიოდში დამკვიდრდნენ, ასე რომ, „სელესაოს" ამ წარმატებაში. გარკვეული როლი ბრაზილიელთა ყოფილ დამრიგებელსაც მიუძღვის.



### ტურნირის საუკეთესო მეკარე

### ჟულიო სეზარი (ბრაზილია)

2013 წლის კონფედერაციათა თასის საუკეთესო მეკარე ან **იკერ კასილიასი** უნდა გამხდარიყო, ან ჟულიო სეზარი. **ჯანლუიჯი ბუფონი**, რა თქმა უნდა, ლეგენდარული მეკარეა, მაგრამ მე-3 ადგილისთვის მატჩში პენალტების სერიაში გმირობა საკმარისი არაა.

საბოლოოდ, ეს პრიზი ჟულიო სეზარს ერგო, რაც სავსებით სამართლიანია - „ქუინზ პარკის" მეკარე მთელი თვის განმავლობაში დამაჯერებელი იყო და მან ფინალშიც რამდენიმე კარგი „სეივი" შეასრულა.

### ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები

**ფერნანდო ტორესი** (ესპანეთი) და **ფრედი** (ბრაზილია) - 5-5 გოლი

ფერნანდო ტორესმა და ფრედმა ტურნირი 5-5 გოლით (და თითო საგოლე პასით) დაასრულეს და საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც გაინაწილეს, თუმცა დამატებითი მაჩვენებლით (მინდორზე გატარებული წუთები) „ოქროს ბუცი" ესპანელმა მიიღო, ფრედს (და არა ფრედის, როგორც ზოგი წარმოთქვამს) კი „ვერცხლის ბუცი" შეხვდა. ტორესმა 5 გოლი 273 წუთში გაიტანა, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ 4-ჯერ მან ტაიტის კარი აიღო, ფრედმა კი იტალია (დუბლი), ურუგვაი და ესპანეთი (დუბლი) დაამწუხრა.

მესამე ადგილი ნეიმარმა და **აბელ ერნანდესმა** გაინაწილეს, მაგრამ „ბრინჯაოს ბუცი" ბრაზილიელს გადასცეს (საგოლე პასების გამო), რაც სამართლიანია - მართალია, ურუგვაელმა მინდორზე ნაკლები დრო გაატარა, მაგრამ თავისი ოთხივე გოლი მან ტაიტის უსუსტეს ნაკრებს გაუტანა.

### ფეარ პლეის პრიზი

### ესპანეთის ნაკრები

ფინალში პიკეს გაძევების მიუხედავად, ფეარ პლეის პრიზი მაინც ესპანეთმა მიიღო. კონფედერაციათა თასის უკანასკნელ მატჩამდე, „ფურია როხას" ფეხბურთელებს სულ 4 ყვითელი ბარათი ჰქონდათ მიღებული.

| ყველა ფინალი | | |
|---|---|---|
| 1992 | არგენტინა-საუდის არაბეთი | 3:1 |
| 1995 | დანია-არგენტინა | 2:0 |
| 1997 | ბრაზილია-ავსტრალია | 6:0 |
| 1999 | მექსიკა-ბრაზილია | 4:3 |
| 2001 | საფრანგეთი-იაპონია | 1:0 |
| 2003 | საფრანგეთი-კამერუნი | 1:0 |
| 2005 | ბრაზილია-არგენტინა | 4:1 |
| 2009 | ბრაზილია-აშშ | 3:2 |
| 2013 | ბრაზილია-ესპანეთი | 3:0 |

გვერდები მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**












ფარიკაობა

# მეექვსედ ბათუმში

აჭარის ფარიკაობის ფედერაციის ინიციატივითა და ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის სამინისტროს, ბათუმის სასპორტო სკოლის მხარდაჭერით, მეექვსედ გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - ზაურ თავაძის საერთაშორისო მემორიალი ფარიკაობაში. საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თავი მოიყარეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ზესტაფონის, შრომის (ოზურგეთი), სომხეთისა და რუსეთის 1996-1999 წლებში დაბადებულმა გოგო-ბიჭებმა, სულ 130-მდე მოფარიკავემ. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:



მარცხნიდან: ლუკა ლალანიძე, თეონა გოგლიძე, ქრისტინე ნოზაძე

**რაპირა. ბიჭები.** 1. ლუკა ლალანიძე (თბილისი), 2. მაიკლ ოჰანესიანი, 3. ემილ დანილიანი, ტიგრან სტეფანიანი (ყველა _ სომხეთი). **გოგონები.** 1. კამილა ჩიბიროვა (რუსეთი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. თეონა გოგლიძე (თბილისი), ანაიდა ატოიანი (სომხეთი).

**ხმალი. ბიჭები.** 1. გივი მერკილაძე (ქუთაისი), 2. ლაშა ლოლუა (აფხაზეთი), 3. ვაჟა რეჭია (ქუთაისი), ნიკა ჭეიშვილი (თბილისი). **გოგონები.** 1. ქრისტინე ნოზაძე (თბილისი), 2. მარიამ ფხაკაძე (ქუთაისი), 3. ელენე დევსურაშვილი (თბილისი), ნინო ქარცივაძე (ქუთაისი).

**დაშნა. ბიჭები.** 1. მიქაელ მიქაელიანი (თბილისი), 2. ემილ ოვოკიანი (სომხეთი), 3. ირაკლი ფანცხავა (ქუთაისი), ალექსი კესაევი (რუსეთი). **გოგონები.** 1. მარია ზაკირჩენკო (ქუთაისი), 2. ემა პოლოსოვა (სომხეთი), 3. ქეთევან მიქაძე (ქუთაისი), მარიამ შაუმოვა (რუსეთი).

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

მშვილდოსნობა. თბილისის ჩემპიონატი

# თბილისიდან ბათუმში პოლონეთის სამიზნეზე

ამ უქმეებზე „ლოკომოტივის" სტადიონმა თბილისის პირველობას უმასპინძლა მშვილდოსნობაში. იქიდან გამომდინარე, რომ მასში მხოლოდ დედაქალაქელები მონაწილეობდნენ (რეგიონების წარმომადგენლები მოწვეულები კი იყვნენ, მაგრამ არ ჩამოსულან), სპორტსმენთა რაოდენობა დიდი არ იყო. მეტიც – ქალებში და ახალგაზრდა გოგოებში სულ ორ-ორი სპორტსმენი გამოდიოდა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მშვილდოსნობის გეოგრაფია საქართველოში ძალზე მცირეა, ხოლო ამჯერად არეალი მხოლოდ თბილისით შემოიფარგლა. თანაც, მოვარჯიშეთა რაოდენობით ვერც დედაქალაქი დაიკვეხნის...

ამის მიუხედავად, შეჯიბრებაზე მაინც მოხდა რამდენიმე საინტერესო ფაქტი. მაგალითად, კვლავაც დადასტურდა ტენდენცია, რომ ახალგაზრდები ზრდიან შედეგებს, ხოლო უფროსების მაჩვენებელი კვლავაც ვერ უტოლდება ფედერაციის მიერ დაწესებულ სავალდებულო ნორმატივს. არადა, ამის გარეშე ფედერაცია ეროვნულ ნაკრებში მათ დაყენებას არ აპირებს. თუმცა ასაკობრივ გუნდებშიც სამადლობელი უფრო ბიჭებს ეკუთვნით, თორემ ახალგაზრდებში გოგოები ჩამორჩნენ ადრინდელ მიღწევებს.

ქალთა შორის აღსანიშნავი იყო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ქრისტინე ესებუას** ფაქტორი, რომელსაც ძირითადად ოჯახური პრობლემების გამო ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ თითქმის არც უასპარეზია. სამწუხაროდ, მან არცთუ სახარბიელო შედეგი აჩვენა – 1261 ქულა, ნორმატივი კი ქალებისთვის 1320-ია... შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეს მისი მაქსიმუმია და ვიმედოვნებთ, ახლო მომავალში ძველ ფორმას დაიბრუნებს. ესებუას ტურნირში კონკურენციას მხოლოდ **ციცი მკერვალი** უწევდა, თუმცა ეს პირობითი ნათქვამია, რადგან მისი შედეგი 811 ქულაა.

ალბათ, ტურნირის ყველაზე ნათელი წერტილი **ლაშა ფხაკაძის** გამოსვლა იყო, რომელიც ახალგაზრდებში გამოვიდა და საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა – 1304 ქულა. წინა მიღწევაც მას ეკუთვნოდა – 1301 ქულა, რომელიც მაისში სლოვენიაში აჩვენა ევროპის ახალგაზრდულ თასზე. საინტერესოა, რომ მან ბევრად უკეთ ისროლა, ვიდრე – უფროსებში საკვალიფიკაციოს მომგებმა **გიორგი პოპიაშვილმა** – 1192 ქულა. თავადაც ხედავთ, რამხელა სხვაობაა მათ შორის. ცხადია, გასაკვირიც არაა, ფხაკაძემ თავის ასაკში რომ გაიმარჯვა. ვერცხლის მედალი **ლევან ჩიტიშვილს** დარჩა (1189 ქულა შესარჩევში), ბრინჯაო **თენგიზ ლურსმანაშვილმა** ირგუნა (1124), **ნიკოლოზ ანდიაშვილი** კი მეოთხეზე დარჩა (1054).

ასევე აღსანიშნავია **ვლადიმერ დოლიძის** პროგრესიც – მან სლოვენიაში 1199 ქულა დააგროვა, ამჯერად კი – 1216.

როგორც ფედერაციაში გვითხრეს, მას ახალი მშვილდი შეუძინეს, რამაც მოტივაცია საგრძნობლად აუმაღლა და მისგან კიდევ ელოდებიან მატებას. აქვე შეგახსენებთ, რომ ეს ბიჭი **ანა დუმბაძესა და დიანა გორგოშაძესთან** ერთად იმ ასაკს მიეკუთვნება, რომელსაც გაისად მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები უწევს, მისი საგზური კი წლეულსვე უნდა მოიპოვონ თანატოლთა მსოფლიოს პირველობაზე. ფედერაციას დოლიძისა და გორგოშაძის წაყვანა თვის შუა რიცხვებში რუმინეთში სურს ევროპის თასის მორიგ ეტაპზე საასპარეზოდ (დუმბაძემ ისედაც მოიპოვა იქ გამოსვლის უფლება),



ლაშა ფხაკაძე

რასაც უფულობა აფერხებდა, მაგრამ, საბედნიეროდ, გუშინ ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს პრობლემა მოაგვარა და საჭირო თანხა გამოყო.

თბილისის ჩემპიონატში საკუთარი სლოვენიური მაჩვენებელი გააუმჯობესა **აკაკი ლეკვეიშვილმაც** – 1241-დან 1266-მდე ამაღლდა. ჭაბუკებში დედაქალაქის ჩემპიონობაც ამათ შორის გათამაშდა, ოქრო კი საბოლოოდ დოლიძეს დარჩა. მესამეზე **ზურაბ მესტვირიშვილი** გავიდა (1203 ქულა შესარჩევში), მეოთხეზე – **დავით მიხელიძე** (1226).

ახალგაზრდა გოგოებში **თეონა კუტალაძემ** გაიმარჯვა– 1181 ქულა, მეორეზე კი **თეონა არჯევანიძე** გავიდა (1065). აი, აქ კი საგრძნობი უკუსვლაა – კუტალაძემ სლოვენიაში 1261 ქულა დააგროვა, ანთალიაში, მსოფლიოს თასზე, სადაც უფროსთა ტურნირში გამოდიოდა, 1218... არჯევანიძეს ლიუბლიანაში 1156 ჰქონდა, თურქეთში კი არ გამოსულა.

ჭაბუკთა ასაკის გოგოების ნაკრებში აქამდე მთლიანად ბათუმელები გამოდიოდნენ. რაკი მათ ახლა არ უასპარეზიათ, ამიტომ ყველა მედალოსანი ჩვენთვის ახალი სახეა – ჩემპიონი **ნინო ჯვარშეიშვილი** გახდა 1067 ქულით, მეორეზე **ნინო სორდია** გავიდა 1038-ით, მესამეზე – **მარინა ჩუმაჩენკო** 853-ით.

ვაჟთა ტურნირში საკვალიფიკაციო ეტაპი პოპიაშვილმა კი მოიგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვება **გიორგი მეჟევიძეს** ერგო (1149 ქულა საკვალიფიკაციო ეტაპზე). პოპიაშვილი ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო **ბექა ელიაშვილმა** (1055) დაისაკუთრა, ხოლო **დავით ჭელიძე** (1059) მეოთხეზე დარჩა. ტურნირში **დიმიტრი სორდიაც** გამოვიდა, რომელიც რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა სპორტს, მაგრამ ამ ეტაპზე სუსტად იასპარეზა – 850 ქულა დააგროვა.

დღეს თბილისის ჩემპიონატში მონაწილე ყველა მშვილდოსანი ბათუმში გაემგზავრება, სადაც ხვალ ანგისას სტადიონზე მორიგი ტურნირი დაიწყება. იქ ქუთაისიდან **ჯაბა მოსეშვილიც** ჩადის, ხოლო მასპინძლები უკლებლივ იქნებიან წარმოდგენილნი: **ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე, ლანა ვერულიძე**, უკრაინიდან გადმოყვანილი **იულია ლობჟანიძე**, რომელიც ბათუმში გადაბარგდა სავარჯიშოდ; სპორტიდან წასული და ასევე დაბრუნებული **ტარიელ ქადიძე, არჩილ ფარსენაძე, მამუკა შუშაძე**, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრების ადგილობრივი წევრები... ერთი სიტყვით, ის თბილისის პირველობაზე უფრო ძლიერი შეჯიბრება უნდა გამოვიდეს. რაც მთავარია, მისი მნიშვნელობაც უზომოდ დიდია – სწორედ ამ ბოლო ორი შეჯიბრების შედეგებით შეირჩევა ქალთა და ვაჟთა ეროვნული გუნდი, რომელიც 19-24 აგვისტოს პოლონურ ვროცლავში მსოფლიოს თასის დასკვნით ეტაპზე იასპარეზებს. ვნახოთ, მოხვდებიან თუ ვერა მასში ნაკრების ძველი წევრები, თუ ფედერაცია ისევ ახალგაზრდებზე გააკეთებს აქცენტს. შეგახსენებთ, რომ ახალი თაობის რამდენიმე წარმომადგენელი ორიოდ კვირაში რუმინეთის ზემოაღნიშნულ ტურნირში გამოვა. ბიჭების ახალგაზრდულ გუნდში ახალდანიშნულმა მწვრთნელმა **თემურ გორგოშაძემ** (მან **გია მაკიევი** შეცვალა, რომელიც ვაჟთა ეროვნული გუნდის თავკაცად გადაიყვანეს) საკონტროლო შეჯიბრების შედეგების მიხედვით ფხაკაძე, მოსეშვილი და ჩიტაშვილი შეიყვანა, გოგოების დამრიგებელმა **დავით ლეკვეიშვილმა** კი იმავე პრინციპით ქვეყნის სახელის დაცვის პატივი კუტალაძეს, არჯევანიძესა და ბათუმელ **ნინო დევაძეს** ანდო. ჭაბუკთა გუნდების ასევე ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ბიჭების გუნდში ფარსენაძე, ლეკვეიშვილი და მესტვირიშვილი შეიყვანა, გოგოებისაში – **მედეა აბულაძე, ციალა ფუტკარაძე** და ანა დუმბაძე.

**ირაკლი თავაძე**

სინქრონული ცურვა



# შემობრუნება

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში „ლაგუნა ვერეზე" საქართველოს სინქრონულ ცურვას ჩაეყარა საფუძველი. იმ პირველი გუნდის შემადგენლობაში, რომელმაც საკავშირო სარბიელზე წარმატებით დაიცვა ქვეყნის სპორტული პრესტიჟი, გამოდიოდა **მარინა ლარინა** - წყვილებში საქართველოს სამგზის ჩემპიონი და ჯგუფურში ქვეყნის პირველობების შვიდგზის გამარჯვებული. დიდ სპორტთან განშორების შემდეგ ახალგაზრდა თაობას უკვალავდა გზას დიდი სარბიელისკენ. ცნობილი სპეციალისტი შვიდი წლის წინათ წავიდა ამქვეყნიდან. ყოფილი თანაგუნდელები და კოლეგები არ ივიწყებენ გულისხმიერ პიროვნებას. გასულ უქმეებზე საწყლოსნო კომპლექს „ნეპტუნსა" და „ოლიმპიკში" მარინა ლარინას თასი პირველად გათამაშდა. შეჯიბრებაში თბილისისა და რუსთავის 45 წარმომადგენელი მონაწილეობდა. წყვილებში ყველას მერცია ნადარეიშვილმა და ქეთი ჩემიამ (88,09 ქულა) აჯობეს. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ელისაბედ ამირეჯიბი-თათია მეტრეველი (87,56) და ნინო დოლიძე-სალომე ჩიტია (84,54) გავიდნენ. ჯგუფურში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისის **„არენა-1"** (ელისაბედ გვასალია, ნია მუჯირიშვილი, ნინო ბახტურიძე, მაგდა ხიმშიაშვილი, თათა ჟღენტი, ელენე კიკნაძე, სალომე ამბოკაძე, ქეთი კვაშილავა, მწვრთნელი ლიკა ბოკერია, 92,56 ქულა). 2. **„არენა-2"** (გვანცა ძიძავა, მარი აფციაური, ნინო დოლიძე, ნინო გოდორაძე, ნინო მიქაუტაძე, მონიკა გაიდაროვა, ანასტასია ოგაჯანოვა, 90,73), 3. **„ოლიმპიკი"** (მერცია ნადარეიშვილი, ქეთი ჩემია, ელენე თორდია, თათია გრიგალაშვილი, ანანო გრიგალაშვილი, გვანცა ვარდიძე, მწვრთნელი იანა მელიქიანი, 87,31).

*„ჩვენთან სინქრონული ცურვა ახლა იწყებს უწინდელი ტრადიციების აღდგენას. ბევრი ნიჭიერი მოზარდი გვყავს. ეს ლარინას თასის გათამაშებამაც დაადასტურა. მეტი ღონისძიება უნდა ჩავატაროთ და სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში ჩვენი გოგონები საერთაშორისო სარბიელზეც გვასახელებენ",* - გვითხრა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, სინქრონულ ცურვაში და საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და ახალგაზრდებში ევროპის პირველობის გამარჯვებულმა **ნინო მაისურაძემ.**

**ვაჟა დანელია**

წყალბურთი

# ჭაბუკები მარადიულ ქალაქში

წლეულს 4 ივლისიდან იტალიის დედაქალაქი რომი ახალგაზრდა წყალბურთელთა ხმელთაშუა ზღვის თასის გათამაშებას უმასპინძლებს. მთავარი პრიზისთვის აპენინელებთან ერთად სერბები, ჩერნოგორიელები, ბერძნები, მალტელები და ქართველები იბრძოლებენ. ამგვარი პატივი ჩვენს ჭაბუკებს (**ბექა ჭოლოკავა, ირაკლი რაზმაძე, ზურაბ ჩიკვაიძე, დავით რევია, რევაზ იმნაიშვილი, გიორგი გაბადაძე (კ), ანდრია ბითაძე, ხვიჩა ჯახაია, გიორგი ზაქარეიშვილი, ლევან მოსაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ლუკა ჯანჯღავა**, მწვრთნელები - **იოვან პოპოვიჩი, ირაკლი ბაქრაძე**, დელეგაციის ხელმძღვანელი - საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ბითაძე**) საერთაშორისო სარბიელზე ბოლო დროს მიღწეული წარმატებებისთვის ერგოთ. საგულისხმოა, რომ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა თბილისის შესარჩევ ჯგუფში, რომელშიც გერმანია, ჰოლანდია, სლოვაკეთი, მოლდოვა გამოდიოდნენ, პირველი ადგილი დაიკავა და სექტემბერში (მალტა) ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ანდრია ბითაძე ნახევარი წელიწადია, სერბეთის „ვოივიდინაში" თამაშობს. ნიჭიერ თავდამსხმელს სამი კლუბი - დუბროვნიკის (ხორვატია) „იუგი", ბელგრადის (სერბეთი) „პარტიზანი" და იტალიის „ფლორენცია" ეპატიჟება. სამივე გუნდი თავიანთი ქვეყნის უმაღლეს ლიგასა და ევროთასებზე გამოდის. ქართველი წყალბურთელი საბოლოოდ რომელს აირჩევს, სექტემბერში ევროპის პირველობის შემდეგ გადაწყდება.

ამას წინათ ჩერნოგორიაში იმყოფებოდა გასინჯვაზე ხვიჩა ჯახაია და ეს პერსპექტიული წყალბურთელი ჰერცეგოვინის „იადრანში" ჩაირიცხა. როგორც ალექსანდრე ბითაძემ გვითხრა, სექტემბერში კიდევ სამი ქართველი წყალბურთელი მოხვდება უცხოურ კლუბებში.

რომში გამგზავრებამდე ახალგაზრდულის ოთხმა წევრმა (ზურაბ ჩიკვაიძე, რევაზ იმნაიშვილი, ანდრია ბითაძე, ხვიჩა ჯახაია) ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში „თბილისის თასზე" იასპარეზა და ქვეყნის უპირველესი გუნდის წარმატებაში მოკრძალებული წვლილიც შეიტანა.

**ვაჟა დანელია**



ანდრია ბითაძე (N10)



ჭიდაობა

# იწყებენ

დღეს მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში ევროპის ჩემპიონატი იწყება ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის, რომელშიც თავდაპირველად ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან. შეჯიბრებას 50, 60, 74 და 96 წონითი კატეგორიების ფალავნები გახსნიან ანუ ჩვენგან **ირაკლი შავაძე, ხვიჩა ჭითავა, ლაშა გობაძე** და **კუკური კირცხალია** იჭიდავებენ. ამ კვარტეტის ლიდერად გობაძე მიგვაჩნია, რომელიც შარშანდელი სეზონიდან შემორჩენილი ოთხეულის წევრია ანუ უფრო გამოცდილია, რასაც ზურგს ტიტულებიც უმაგრებს - შარშანწინ ჭაბუკებში მსოფლიოზე ბრინჯაოს, ევროპაზე კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. მანამდე - 2010 წელს იმავე ასაკობრივ ჯგუფში ევროპაზე ასევე მესამე იყო. ჭაბუკებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონია ირაკლი შავაძე, ხოლო კირცხალიამ კონტინენტის პირველობაზე ისევ ჭაბუკებში 2011 წელს ვერცხლი მოიპოვა. ოღონდ გობაძისგან განსხვავებით, ისინი ახალგაზრდებში ოფიციალურ ტურნირზე პირველად გამოდიან.



ჩვენი ნაკრების დარჩენილი ოთხეული ხვალ იჭიდავებს და სწორედ მაშინ ვნახავთ საქმეში ჩვენებურთა ლიდერებს - ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორ **იაკობ ქაჯაიას** (120); ასევე ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორსა და საქართველოს მოქმედ ჩემპიონ **რობერტ ქობლიაშვილს** (84); საქართველოს კიდევ ერთ წლევანდელ გამარჯვებულსა და ჭაბუკებში ევროპის ორგზის პრიზიორ **ედნარ შავაძეს** (55); ჭაბუკებში ევროპის ასევე ორგზის ბრინჯაოს პრიზიორ **ფირუზ წულუკიძეს** (66).... ამის შემდეგ ტურნირზე ქალთა შეჯიბრება იწყება - ისინი 4-5 ივლისს იასპარეზებენ, რის შემდეგაც საქმეში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ჩაებმებიან. მათ შორის - ქართული ოქტეტიც, თუმცა ამაზე თავის დროზე ვისაუბროთ.

**ირაკლი თავაძე**




ზაზა ფაჩულიას მომავალ ნავსაყუდელზე



# პორტლენდი... მიმდინარეობს მოლაპარაკება

## ლეიკერსი და ჩიკაგო?

NBA-ს თავისუფალ აგენტთა ბაზარი პირველი ივლისიდან გაიხსნა. საქართველოს ნაკრების კაპიტან **ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსთან" ოთხწლიანი კონტრაქტი ამოეწურა და ახალ გუნდს ეძებს. ამერიკელი ჟურნალისტები იკვლევენ, არჩევენ შესაძლო ვარიანტებს, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე უფრო რეალურზე დავწეროთ.

### პორტლენდი

გამოცემა „სპორტს ილუსტრეიტედში" **ჯოშ სანჩესის** სტატია სათაურით: „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი" ზაზა ფაჩულიას მიუახლოვდა". ქვემოთ ვკითხულობთ:

„პორტლენდელები ხარისხიანი ცენტრის ძიებაში არიან. ამ მიმართულებით მათ უკვე გადადგეს დიდი ნაბიჯი, დაუკავშირდნენ ფაჩულიას აგენტს. 29 წლის ქართველი ცენტრი ამჟამად ტრავმირებულია, ნაოპერაციევ აქილევსს მკურნალობს, თუმცა ექიმების თქმით, იგი ოქტომბერში, „ბლეიზერსის" საწვრთნელი შეკრების დაწყებისას სრულ მზადყოფნაში იქნება."

ამ მოკლე ინფორმაციიდან ირკვევა, რომ საქმე სერიოზულადაა, თუმცა ქართველები NBA-ში 1998 წლიდან თამაშობენ და დაგვიგროვდა საკმარისი გამოცდილება საიმისოდ, რომ ვთქვათ: ჯერ ყველაფერი წინაა, ფაჩულია „პორტლენდთან" კონტრაქტის გაფორმებას არ იჩქარებს, რადგან დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, კიდევ არაერთი შეთავაზება ექნება".

ჩვენი მხრივ შეგახსენებთ, რომ „ბლეიზერსში" დაასრულა საკალათბურთო კარიერა **ვლადიმერ სტეფანიამ** (2004 წელს). ამ გუნდში ერთი თვის განმავლობაში **ნიკა ცქიტიშვილიც** ვარჯიშობდა, მაგრამ კონტრაქტი არ გაუფორმებია.

### მეშვიდე

თავისუფალ აგენტებს საინტერესო პუბლიკაცია მიეძღვნა საიტ „სპორტინგნიუსზე". ცენტრები დახარისხებულნი არიან და მათ შორის მეშვიდეა ზაზა ფაჩულია. აი, რა წერია მის გასწვრივ: „ფაჩულია არავის მოსწონს, გარდა თანაგუნდელებისა. ასეა თუ ისე, იგი კარგი დამცველია და შეტევითი პოტენციალიც საკმარისი აქვს საიმისოდ, რომ ღირებულ მეფარედ მივიჩნიოთ."

რეიტინგში პირველია **დუაით ჰოვარდი**, მეორე - **ნიკოლა პეკოვიჩი**, მესამე - **ელ ჯეფერსონი**...

### ჩიკაგო

ახლა „დეილი ჰერალდს" გადავხედოთ, რომელშიც ჟურნალისტი **მაიკ მაკგრაუ** „ჩიკაგო ბულსისთვის" სასურველ კანდიდატებს ეძებს. მესამე აბზაცში წერს: **„ჯერმეინ ონილი, კრის კამანი** და ზაზა ფაჩულია. მათგან ერთ-ერთის დამატებით ჩიკაგოელთა წინა ხაზი საკმარისად გაძლიერდება. „ხარებს" ხომ კარგი მეფარე სჭირდებათ მომავალ სეზონში ფინალში გასაღწევად".

### ლეიკერსი

ამბიციური ჩიკაგო ფაჩულიასთვის ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს, თუმცა, ალბათ, ბევრი ქართველი ისურვებდა მის ლურჯ-ყვითელ ფორმაში **კობი ბრაიანტისა** და **სტივ ნეშის** გვერდით ხილვას. როგორც იუწყებიან, ცენტრი, ჰოვარდი „ლეიკერსის" დატოვებას აპირებს და გუნდის ხელმძღვანელობა მის შემცვლელს ეძებს.

უფრო კონკრეტულად „ბლიჩერრეპორტში" **ლუკ პეტკაჩი** წერს: „ზაზა ფაჩულია ერთ-ერთი მეფარეთაგანია, რომელიც „ლეიკერსის" წინა ხაზში გაჩენილ სიცარიელეს ამოავსებს. მას გუნდისთვის ორი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია - მოხსნებსა და საშუალო ტყორცნებში დახმარება."

ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფაჩულიას კომენტარები
იხილეთ მომდევნო გვერდზე

ჩოგბურთი

# ქართველები ევროპულ კორტებზე

გერმანულ ვერსმოლდში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი), რომელშიც ორი ქართველი მონაწილეობს. პირველ ნომრადაა განთესილი "უაილდ ქარდით" მიწვეული **ანა ტატიშვილი**, რომელიც სტარტზე კარენ ბარბატს (დანია) შეხვდება, **სოფიო შაფათავა** კი მასპინძელ ანტონია ლოტნერს გაუწევს მეტოქეობას. ქართველი ჩოგბურთელები წყვილებში გაერთიანებული ძალით იბრძოლებენ: მეორე ნომრად განთესილნი გერმანელებს - ტამარა კორპატჩსა და ტატიანა შტოლს დაუპირისპირდებიან.

ტორუნის (პოლონეთი) 25.000-იან ტურნირში ითამაშებს **მაკა ჩახნაშვილი**, რომელსაც პირველ წრეში მეტოქედ მასპინძელი მაგდალენა ფრეჩი ეყოლება.

თურქეთში დარჩა საასპარეზოდ **ნიკოლოზ ბასილაშვილი.** ამჯერად იგი ქაისერის 10.000-იან ტურნირში მოსინჯავს ძალებს. სტარტზე ორჯერ დაუპირისპირდება ავსტრალიელ დავიდ სოფაერს: ჯერ ერთეულთა თანრიგში, მერე კი ირლანდიელ სამ ბარისთან ერთად მესამე ნომრად განთესილი სოფაერისა და დამიან ფარინოლას (ავსტრალია) გზიდან ჩამოშორებას შეეცდება.

**ვაჟა დანელია**

ტრანსფერი



## ზაზა ფაჩულია: ატლანტაში დარჩენა მინდა, მაგრამ...

### HOOPSWORLD-ის ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

HOOPSWORLD-თან სატელეფონო ინტერვიუში ქართველმა ცენტრმა განაცხადა, რომ მას კარიერის გაგრძელება ისევ „ატლანტაში" სურს, თუმცა სხვა კლუბებსაც დაელაპარაკება.

გამოცემის აზრით, „ატლანტაში" გატარებულმა 8 სეზონმა ფაჩულია ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო სარეზერვო ცენტრად აქცია, რის გამოც მისდამი ინტერესი დიდია. „პორტლენდიც" აქტიურობს.

- თავისუფალ აგენტთა ბაზარზე ბევრი კარგი ცენტრია, მათ შორის დუაით ჰოვარდი. ალბათ, ჩემ შესახებ კლუბი გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს. რა თქმა უნდა, მე მსურს ისევ აქ ვითამაშო, „ატლანტაში", სადაც 8 დიდებული სეზონი გავატარე.

ამასთან, ზაზა არ გამორიცხავს, რომ წავა ჯორჯიიდან:

- ყველამ კარგად ვიცით, რომ კალათბურთი ბიზნესია. ამიტომაც, ყველა წინადადებას მოვისმენ და ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებ, რომელიც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის საუკეთესო იქნება.

ფაჩულია ბოლო სეზონში 5.3 მილიონ დოლარს გამოიმუშავებდა. ახალ სეზონში თავისუფალი აგენტებისთვის „ატლანტას" ჯამში 30 მილიონი დოლარი ექნება დასახარჯი, თუ ისინი შეძლებენ დუაით ჰოვარდის გადაბირებას, დანარჩენი ადგილებიც შესავსები ექნებათ, ამიტომ ფაჩულიას ადგილი „ატლანტაში" არ დარჩება.

- ატლანტა ჩემი სახლია, ეს საეჭვოც არაა, მაგრამ კარგად მესმის კლუბის ხელმძღვანელობის, მათ ამ ზაფხულში ძალიან ბევრი საქმე აქვთ მოსაგვარებელი. ხელმძღვანელობას ჩემს საკითხზე ჯერ არაფერი უთქვამს, თუმცა მაიმედებს სეზონის ბოლოს დამშვიდობება დენი ფერისთან, ასევე მოკლე საუბარი ახალ მწვრთნელ ბადენჰოლცერთან. ფერიმ ძალიან კარგად დამახასიათა ახალ მწვრთნელთან. თუმცა თუ მაინც ვერ დავრჩები „ატლანტაში", არ მეწყინება.

თუკი ფაჩულია კარიერას „ატლანტაში" ვერ გააგრძელებს, მაშინ ის ისეთი გუნდით დაინტერესდება, რომელსაც პლეი ოფში გასვლა შეუძლია, ან მომავალ სეზონში თამაშის გაუმჯობესებას აპირებს.

- ზედიზედ 6 წელია, პლეი ოფში ვთამაშობთ და ამით კარგი გაგებით, მოვიწამლე. ძალიან ბევრს ნიშნავს ისეთ გუნდში ყოფნა, რომელსაც პლეი ოფის საგზურის მოპოვება შეუძლია. იქ სულ სხვა მატჩებია, რომელიც ჩემს სათამაშო სტილს უფრო ერგება. ამიტომ მსურს ასეთ გუნდში თამაში, თუმცა შემიძლია რომელიმე სხვა კლუბს ჩემი საპლეიოფო გამოცდილებაც შევთავაზო წინსვლისთვის.

ოპერაციის გამო ზაზამ რეგულარული სეზონის 30 მატჩი გამოტოვა და ვერ მიიღო მონაწილეობა წლევანდელ პლეი ოფში. ქართველი ირწმუნება, რომ საწვრთნელი ბანაკისთვის, რომელიც ოქტომბერში იხსნება, მზად იქნება.

- დიახ, საწვრთნელი შეკრებისთვის 100%-ით მზად ვიქნები. მზადყოფნაში ვგულისხმობ კარგ ფორმაში ყოფნას. თავიდან ექიმმა მითხრა, რომ 4-6 თვე დამჭირდებოდა მკურნალობა. ოპერაცია 3 აპრილს გავიკეთე და გამოჯანმრთელების პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს. თუ რაიმე, შეფერხება არ მოხდა, ბანაკისთვის მზად ვიქნები. ჩემს შემთხვევაში გრძელი ზაფხული კარგია, ამერიკაში კალათბურთელები უკეთ ისვენებენ, ევროპაში ამდენი დასვენების ფუფუნება არა აქვთ.

ზაზა ფაჩულიამ გასული სეზონის 52 მატჩში გუნდს საშუალოდ 5.9 ქულა და 6.5 მოხსნა მოუტანა.

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# სჯობს ლეგიონერის ადგილი ახალგაზრდა ქართველს დავუთმოთ

**2012-13 წლების სეზონი მოსავლიანი აღმოჩნდა ქართველი კალათბურთელებისთვის. გიორგი ცინცაძემ უკრაინის ჩემპიონობა მოიპოვა, მანუჩარ მარკოიშვილმა - თურქეთის, ვიქტორ სანიკიძემ - იტალიის, გიორგი შერმადინმა კი ევროლიგა მოიგო. თბილისში ჩამოსულ ცინცაძესთან ინტერვიუ უკვე შემოგთავაზეთ. ახლა მანუჩარს შეგახვედრებთ, რომელიც ამჟამად საკუთარ ოჯახთან ერთად უკრაინაშია. მარკოიშვილი „გალათასარაიში" იტალიური „კანტუდან" შუა სეზონში გადავიდა და იმდენი მოახერხა, გუნდის ლიდერთა შორის ჩაეწერა.**

- „კანტუში" სხვა როლი მქონდა, „გალათასარაიში" - სხვა. იტალიურ გუნდში მესამე სეზონს ვატარებდი და მეტი თავისუფლება მქონდა. „გალაში" სხვა სიტუაცია, მაღალი დონის კალათბურთელები დამხვდნენ და რთული იყო იგივეს გამეორება, რასაც „კანტუში" ვაკეთებდი. თურქულ გუნდში დიდი გამოცდილება მივიღე და მოხარული ვარ, რომ შრომა დაგვიფასდა - თურქეთის ჩემპიონატი მოვიგეთ.

**- „გალათასარაის" მწვრთნელ ერგინ ატამანს აქამდეც ჰქონდა შეხება ქართველებთან, ზაზა ფაჩულიასთანაც მუშაობდა და შარშან თბილისში „ბეშიქთაში" ჩამოიყვანა...**

- ძლიერი სპეციალისტია, თავისებური მიდგომა აქვს და ბევრი კოლეგისგან განსხვავდება. შესაძლოა, ურთიერთობაში იოლად არ შემოვიდეს, მაგრამ მოედანზე თავისი საქმის სპეციალისტია. მის მთავარ დადებით თვისებად შეიძლება მენტალიტეტი ჩაითვალოს - ძალიან ეჯავრება წაგება, გამორიცხულია ამას შეეგუოს. ასეთი მენტალიტეტი კალათბურთელებსაც უყალიბდებათ და ამიტომაცაა, ატამანის გუნდი წარმატებული. მის ნდობას სტამბოლში ჩასვლის პირველივე დღიდან ვგრძნობდი, რაც თამაშზეც ისახებოდა. შესაძლოა, ზოგჯერ ქულები უხვად ვერ მომეგროვებინა, მაგრამ ჩემს საქმეს ვასრულებდი და გადამწყვეტ მომენტში მოედანზე ვიყავი. მწვრთნელს კარგად ვყავდი შესწავლილი და სწორედ ისეთ კომბინაციებს ხაზავდა, რომლის დროსაც ტყორცნა იმ ადგილიდან მევალებოდა, საიდანაც ძალიან მიყვარს. თანაგუნდელებზეც დადებითად უნდა ვილაპარაკო, რომლებიც პასს წამით არ აგვიანებდნენ.

**- ვერ ვიტყვით, რომ „გალა" თუნდაც შემადგენლობის მიხედვით თურქეთის ჩემპიონობის ერთპიროვნული ფავორიტი იყო.**

- არ ვიცი, როგორი ბიუჯეტი ჰქონდა გასულ სეზონში, მაგრამ გუნდებისთვის რომ გადაგვეხედა, ფავორიტებად „ფენერბაჰჩესა" და „ეფესს" მივიჩნევდით. თუმცა, არც ჩვენ გვყავდა ურიგო შემადგენლობა. შუა სეზონში 23 მატჩი წაუგებლად ჩავატარეთ და ამის შემდეგ ჩვენი ფავორიტობა ყველამ ირწმუნა. „გალა" კარგად დაბალანსებული და შეკრული გუნდი იყო. სწორედ ამან განაპირობა მისი გამარჯვება.

**- „გალას" ქომაგის გულის მოგება მოასწარი?**

- სტამბოლელი ქომაგისგან დიდ ყურადღებას ვგრძნობდი. „კვირის პალიტრასთან" ინტერვიუში რატი შელეგიასაც ვუთხარი, ქომაგები „მანუ-ფაშას" მეძახდნენ-მეთქი, მაგრამ ახლაც არ ვიცი ზუსტად რას ნიშნავს. არც ოთხ თვეში ქომაგის გულის მოგებაა იოლი, თუმცა მათთვისაც და ჩემთვისაც მთავარი წარმატებაა. საბოლოოდ ჩემით უკმაყოფილონი არ უნდა დარჩენილიყვნენ, რადგან „გალათასარაის" ჩემპიონობის მოპოვებაში დავეხმარე.

**- საქართველოში როდის აპირებ ჩამოსვლას?**

- მცირე მკურნალობა მჭირდება, თუმცა სერიოზული არაფერია. მინდა ნაკრებს მაქსიმალურად ჯანმრთელი შევუერთდე.

**- ევროპის ჩემპიონატზე ზაზა ფაჩულია ვერ ითამაშებს...**

- ყველამ იცის ზაზას როლის შესახებ საქართველოს ნაკრებში. გულშემატკივარი რომ ვიყო, შეიძლება მეც მეთქვა, მის გარეშე რა უნდა ვქნათ-მეთქი. ვინც ნაკრების შიდა სამზარეულოს იცნობს, დამეთანხმება, რომ გუნდში ფაჩულიას დიდი როლი აქვს. ქულებსა და სტატისტიკას არ ვგულისხმობ, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით - მისი გამოცდილება, ბრძოლისუნარიანობა ყველა კალათბურთელზე დადებითად მოქმედებს. იგი ძალიან დაგვაკლდება, თუმცა ყველა კალათბურთელის კარიერაში შეიძლება მოხდეს მსგავსი შემთხვევა. ზაზა აქამდე ყოველ წელს ჩამოდიოდა და ერთი ციკლიც არ გაუცდენია. მას ტრავმის შემდეგ დასვენების საშუალება მიეცემა და ახალ სეზონს ახალი ენერგიით შეხვდება.

**- რა შეიძლება შეიცვალოს გუნდის თამაშში ზაზას არყოფნაში?**

- დარწმუნებული ვარ, ლიდერის არყოფნაში ახალგაზრდა კალათბურთელი გამოჩნდება, რომელსაც აქამდე მცირე სათამაშო დრო ჰქონდა. ახალგაზრდები სანაკრებო გამოცდილებას მიიღებენ, გაიზრდებიან და მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობების დამტკიცების საშუალება. ეს მათი კარიერისთვისაც ძალიან სასარგებლო იქნება. როგორც ვთქვი, ფაჩულია შეუცვლელია, მაგრამ უნდა შევცვალოთ სისტემა, ისეთ სტილში ველარ ვითამაშებთ, როგორც ამას ზაზასთან ერთად ვაკეთებდით. ვიმედოვნებ, ყველაფერი კარგად გამოგვივა.

**- ამერიკელი მეფარის ჩამოყვანას აპირებენ. საინტერესოა, რა აზრისა ხარ ნატურალიზებულებზე.**

- ეს საკითხი არც ერთი კალათბურთელის კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ საკუთარი მოსაზრება გაგვაჩნია. მიმაჩნია, რომ ამერიკელის ჩამოყვანაზე უკეთესი იქნება, ის ერთი ადგილი ახალგაზრდა ქართველს დაეთმოს. როცა ვამბობთ, გამთამაშებელი არ გვყავსო, ამით ფსიქოლოგიურად ძალიან ცუდად ვმოქმედებთ ახალგაზრდებზე. ახლა ზაზა ფაჩულია გამოგვაკლდა და ტანმაღალი ლეგიონერი ჩამოგვყავს. მივბაძოთ იმ ქვეყნების მაგალითს, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივებზე არიან დამოკიდებულნი. ადრე თუ გვიან საქართველოს უნდა ჰყავდეს ნაკრები, რომელშიც მხოლოდ ქართველები ითამაშებენ.

**- ევრობასკეტზე ჩვენს მეტოქეებზე ორ-ორი სიტყვა ვთქვათ.**

- სერიოზულ ქვეჯგუფში მოვხვდით. ვერ ვიტყვით, რომ თუნდაც გამოცდილებით, რომელიმეს ალვემატებით. შედარებით სუსტებად პოლონეთი და ჩეხეთი წარმოგვიდგენია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩეხეთის ნაკრებთან შარშან ამხანაგურ მატჩში დავმარცხდით, ხოლო 2010 წელს პოლონეთში წავაგეთ. თუმცა იმის თქმა არ მინდა, თითქოს აუტსაიდერები ვიყოთ. ყველაფერი ჩვენზე იქნება დამოკიდებული, როგორ მოვინდომებთ, როგორ მოვემზადებით... დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, ცდას არ დავაკლებთ, რომ ევრობასკეტზე ღირსეულად გამოვიდეთ.




**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# რეკორდული გუნდები ელიტურ დივიზიონში

**საფრანგეთში სატრანსფერო სეზონი დასრულდა. გუნდების უმრავლესობამ ყველა სასურველ მოთამაშესთან კონტრაქტი გააფორმა და ახალი სეზონისთვის მზადებასაც შეუდგა.**



გიორგი ჟღენტი „პერპინიანის“ პრეზენტაციაზე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ქართველი მორაგბეები რეკორდულად დიდი რაოდენობის გუნდებში ითამაშებენ. ჩვენებურები ცხრა გუნდის ღირსებას დაიცავენ. მათ აქამდე ამდენ ელიტურ კლუბში არასდროს უასპარეზიათ.

შარშან ეს რიცხვი სამით ნაკლები იყო. წლეულს „ქართული გუნდების“ რიგებში „პერპინიანი“ და „მეტრო რასინგი“ ჩაირიცხნენ, „ბრივი“ კი, ელიტაში მეორე დივიზიონიდან გადაბარგდა. წლეულს კატალონიური გუნდის ღირსებას „მონპელიეს“ შერკინების ყოფილი ბურჯი **გიორგი ჟღენტი** დაიცავს. პარიზულ „მეტრო რასინგში“ ყოფილი ბრიველი **დავით ხინჩაგიშვილი** ითამაშებს.

მეორე დივიზიონში წარმატებული გამოსვლის შედეგად „ბრივი“ ერთწლიანი დაქვეითების შემდეგ ისევ პირველ დივიზიონში დაბრუნდა. ეს გუნდი ორმა ქართველმა მორაგბემ დატოვა. ხინჩაგიშვილის შესახებ უკვე ვთქვით. შერკინების კვაჭმა **ირაკლი ნატრიაშვილმა** ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „პერიგოს“ მიაშურა. სამაგიეროდ მეორე დივიზიონის „ორიაკიდან“ „ბრივში“ ჩაირიცხა შერკინების ბურჯი **კარლენ ასეიშვილი.** აქვე განაგრძობს კარიერას ვეტერანი ქართველი პირველხაზელი **გოდერძი შველიძე.**

კლუბი გამოიცვალა საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა,** რომელმაც „ტულონში“ გატარებული სამი სეზონის შემდეგ პარიზში, ფრანგული რაგბის უძველეს კლუბ „სტად ფრანსეში“ გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება.

საფრანგეთის ელიტურ პირველ დივიზიონში წლეულს 17 ქართველი იასპარეზებს. აქედან ორი, **კონსტანტინე მიქაუტაძე** (ტულონი) და **ლაშა ლომიძე** (მონპელიე) მეორეხაზელები არიან. ერთიც, **მამუკა გორგოძე** (მონპელიე) მესამეხაზელია, სხვა დანარჩენი კი პირველხაზელები არიან.

აღსანიშნავია, რომ ქართველ მორაგბეთა ყველა გუნდს, **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოსა“ და ახლახან ალზევებული „ბრივის“ გარდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

**საფრანგეთი**

**I დივიზიონი**

დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), ლევან ჩილაჩავა, კონსტანტინე მიქაუტაძე (ორივე-ტულონი), დავით ქუბრიაშვილი, ზურაბ ჟვანია (ორივე-სტად ფრანსე), მამუკა გორგოძე, მიხეილ ნარიაშვილი, ლაშა ლომიძე, გაგი ბაზაძე (ოთხივე-მონპელიე), გიორგი ჟღენტი (პერპინიანი), ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე (ორივე-ტულუზი), ზაზა ნავროზაშვილი (ბორდო), დავით ხინჩაგიშვილი (მეტრო რასინგი). გოდერძი შველიძე, კარლენ ასეიშვილი (ბრივი).

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში ექვს გუნდში 15 ქართველი მორაგბე ირიცხება. ყველაზე მეტი, ექვსი მორაგბე „ალბის“ ღირსებას დაიცავს. ამ კლუბში გასულ სეზონში ხუთი ქართველი თამაშობდა, წლეულს მათ კიდევ ერთი, „არმიას“ მესამეხაზელი **ხვიჩა ბუჯიაშვილი** დაემატა.

ელიტური, პირველი დივიზიონის „კლერმონიდან“ „ლიონში“ გადაბარგდა საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **ვიქტორ კოლელიშვილი.** ამ გუნდში უკვე სამი წელიწადია შერკინების ბურჯი **გურამ კავთიძე** ასპარეზობს. გუნდი გამოიცვალა კიდევ ერთმა შერკინების ბურჯმა **ტარიელ რატიანიძემ.** მან „დაქსში“ ასპარეზობას პირველი დივიზიონიდან დაქვეითებულ „აჟენში“ არჩია თამაში.

მეორე დივიზიონში მოთამაშე ჩვენებურების სათამაშო ამპლუა პირველზე მრავალფეროვანია. **ალექსანდრე თოდუა** (ალბი) გარემარბია, **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლიონი) და **ხვიჩა ბუჯიაშვილი** (ალბი) მესამეხაზელები არიან. **ლევან დათუნაშვილი** (ორიაკი), **ვახტანგ მაისურაძე** (ალბი) და **გიორგი ნემსაძე** (ტარბი) მეორე ხაზში ირჯებიან.

ელიტურ პირველ დივიზიონში გადასვლისთვის სავარაუდოდ, „ლიონი“, „ორიაკი“ და „აჟენი“ იბრძოლებენ.

**II დივიზიონი**

ვიქტორ კოლელიშვილი, გურამ კავთიძე (ორივე-ლიონი), კახაბერ კობერიძე, ალექსანდრე თოდუა, ვახტანგ მაისურაძე, ვახტანგ ახობაძე, გიორგი თეთრაშვილი, ხვიჩა ბუჯიაშვილი (ყველა-ალბი), ირაკლი მირცხულავა, გიორგი ნემსაძე, გიორგი ჩხაიძე (სამივე-ტარბი). ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნაცარაშვილი (ორივე-ორიაკი), ტარიელ რატიანიძე (აჟენი), ბექა შეყლაშვილი (ბეზიე).

**შოტლანდია**

დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი).

შვიდკაცა რაგბი

# ჩემპიონატი დამთავრდა, ჩემპიონატი იწყება

**გასულ უქმეებზე მოსკოვში შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. ერთი კვირის თავზე, ანუ მომავალ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება.**

საქართველოს რაგბის კავშირმა გადაწყვიტა, ეს შეჯიბრება ახალი ფორმატით ჩაატაროს. გუნდები ორ ზონად გაყვეს. დასავლეთ ზონაში ექვსი გუნდი, „აია“ (ქუთაისი), „რაინდები“ (ფოთი), „არწივები“ (ოზურგეთი), „ბათუმი“, „ბაგრატი“ (ქუთაისი) და „დელფინები“ (ბათუმი) ორ ჯგუფში გაანაწილეს. ამდენივე ჯგუფი იქნება, ოღონდ ათი გუნდი იასპარეზებს, აღმოსავლეთ ზონაში.

როგორც უკვე ვთქვით, ზონებში შეჯიბრება მომავალ უქმეებზე გაიმართება. დასავლეთელები ერთმანეთს მალთაყვაში გაეჯიბრებიან, აღმოსავლეთელებს კი, „შევარდენის სანაკრებო ბაზა“ უმასპინძლებს.

ფინალური ეტაპი 13-14 ივლისს თბილისში ჩატარდება, სადაც ერთმანეთს



დასავლეთ ზონის სამი საუკეთესო და აღმოსავლეთ ზონის მოწინავე ხუთეული დაუპირისპირდება.

**დასავლეთი ზონა**

**A ჯგუფი:** აია (ქუთაისი), რაინდები (ფოთი), არწივები (ოზურგეთი).

**B ჯგუფი:** ბათუმი, ბაგრატი (ქუთაისი), დელფინები (ბათუმი).

**აღმოსავლეთი ზონა**

**A ჯგუფი:** აკადემია (თბილისი), ყოჩები (თბილისი), ხულიგანა (თბილისი), მგლები (გარდაბანი), დევები (თბილისი).

**B ჯგუფი:** ლოკომოტივი (თბილისი), ჯიქები (თბილისი), თიბისი (თბილისი), ივერია (თბილისი), ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი).

ტესტები




# ლომებს სემ ვერბარტონი დააკლდა

**„ბრიტანელი ლომები“ ავსტრალიური ტურნეს ბოლო მატჩს მომავალ უქმეებზე გამართავენ. გასულ უქმეებზე მელბურნში გამართული შეხვედრის შემდეგ კი, მათ რიგებს კაპიტანი, უელსელი სემ ვერბარტონი გამოაკლდა.**

მატჩის დასრულების შემდეგ, რომელშიც „ბრიტანელი ლომები“ „ვოლაბებთან“ მინიმალური სხვაობით დამარცხდნენ - 15:16, ვერბარტონი მელბურნში დარჩა და ადგილობრივ ჰოსპიტალში დეტალური სამედიცინო შემოწმება გაიარა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას მუხლისქვეშა მყესი აქვს დაშავებული. შესაბამისად, გადამწყვეტ მატჩში გუნდს კაპიტანი ვერ დაეხმარება.

*„საშინლად განბილებული ვარ. ძალიან მინდოდა, სიდნეიში გადამწყვეტ შეხვედრაში მეთამაშა. გუნდს წარმატებას ვუსურვებ და, იმედი მაქვს, რომ ბიჭები ყველაფერს ილონებენ გამარჯვების მისაღწევად“* - თქვა **სემ ვერბარტონმა.**

ვერბარტონი უმნიშვნელოვანესი დანაკარგია „ბრიტანელი ლომებისთვის“, რომლებსაც სამხრეთული ტურნე 1997 წლის შემდეგ არ მოუგიათ.

*„70 წუთის განმავლობაში მან უზარმაზარი სამუშაო გასწია. ეს იყო ყველაზე შთამბეჭდავი გარჯა, რომელიც როდესმე მინახავს“* - თქვა ინგლისის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების“ ყოფილმა თავკაცმა სერ **კლაივ ვუდვორდმა.**

„ბრიტანელი ლომების“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა **ოურენ გეთლენდმა,** ცხადია, უმალვე ვერბარტონის შემცვლელის ძებნა დაიწყო. უელსელის ადგილს სავარაუდოდ ირლანდიელი **შონ ობარაიანი** ან ვერბარტონის თანამემამულე **ჯასტინ ტიპურიჩი** დაიკავებს. გუნდს კი, ვეტერანი ირლანდიელი შუამარბი **ბრაიან ოდრისკოლი** უკაპიტნებს. ის „ლომების“ კაპიტანი ერთხელ უკვე იყო, 2005 წელს ახალ ზელანდიაში გამართულ ტურნეში.

აღსანიშნავია, რომ სემ ვერბარტონი ტრავმის პირველი მსხვერპლი არ არის. აქამდე ამ მიზეზით „ბრიტანელ ლომებს“ დააკლდნენ შერკინების კვაჭი **დილან ჰართლი,** ბურჯები **კიან ჰილი** და **ჯენტინ ჯენკინსი,** მეორეხაზელი **პოლ ოკონელი.**

ზე რაგბი

# მაქოა ჯერ ადრეაო

ახალი ზელანდიისა და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის“ ლიდერმა **რიჩი მაქოამ** ვარჯიში დაიწყო. თანამედროვეობის საუკეთესო ახალზელანდელი მორაგბე წვრთნას კლუბთან ერთად გადის, თუმცა მისთვის თამაში ჯერ ნაადრევია.

*„ვფიქრობ, რომ რიჩიმ არ უნდა იჩქაროს. მან ახალხან დაიწყო კლუბთან ერთად ვარჯიში. ცხადია, კარგია, როცა თანაგუნდელების გვერდით იწრთობი, ეს ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ ის სათანადოდ ჯერ კიდევ არ გამოჯანმრთელებულა. მაქოას ძალიან უნდა ითამაშოს. უახლოეს დღეებში შევიკრიბებით და გადავწყვეტთ, როგორ მოვიქცეთ“* - თქვა „ჯვაროსნების“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **ტაბაი მეტსონმა.**

შეგახსენებთ, რომ „კრუსეიდერზი“ ზე რაგბის გათამაშების მომდევნო ტურში შინ ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერს, ჰემილთონის „ჩიფსს“ მიიღებს. ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ქრაისთჩერჩელები მეორე ადგილს და პლეი ოფში თამაშის უფლებას გაინაღდებენ.

# მაა ნონუ სამი კვირით დასაჯეს

ახალი ზელანდიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე, შუამარბი **მაა ნონუ** ზე რაგბის გათამაშების სადისციპლინო კომიტეტმა სამკვირიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

ზე რაგბის გათამაშების მორიგ მატჩში, სადაც დანიდნის „ჰაილენდერზი“ ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ მასპინძლობდა, მოედნის შუაგულში, სრულიად მარტივ სიტუაციაში მაა ნონუმ „ჯვაროსნების“ გარემარბ **ტომ მარშალის** წინააღმდეგ ბინძურად ითამაშა. მატჩის არბიტრმა **ვიდე რეფერის** ნახვის შემდეგ ნონუს წითელი ბარათი უჩვენა. სადისციპლინო კომიტეტმა ის მეტოქისთვის განზრახ ტავმის მიყენებაში დაადანაშაულა.

აღსანიშნავია, რომ მარშალი არ დაშავებულა და ამჟამადაც თავს მშვენივრად გრძნობს. კომიტეტმა სწორედ ეს გარემოება და მაა ნონუს წარსული კარიერა გაითვალისწინა, რის გამოც სასჯელი შედარებით მსუბუქი გამოუტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ოლ ბლექსის“ შუამარბს რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაცია ელოდა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2013


სერენა უილიამსი


საბინ ლისიცკი

# SERENA OUT

გუშინ, უიმბლდონზე მერვედფინალების დღე იყო და ქალთა ბადეში ისეთი რამ მოხდა, რომ ერთბაშად რვა ჩოგბურთელი გადაიქცა ტურნირის მთავარ ფავორიტად. დიახ, ლონდონის ნაადრევად დატოვება მოუწევს მოქმედ ჩემპიონსა და უპირობო ფავორიტს **სერენა უილიამსს**, რომელიც 34-მატჩიანი მოგებათა სერიით იწონებდა თავს. შესაბამისად, მეოთხედფინალში გასულმა ყველა ჩოგბურთელმა მიიღო მთავარი პრიზის მოპოვების შანსი.

ვერავინ წარმოიდგენდა, რომ გერმანელი **საბინ ლისიცკი**, რომელიც ამ სეზონში ბევრს ვერაფერს აჩვენებდა, ამერიკელ მონსტრს დაამარცხებდა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ გერმანელისთვის უიმბლდონი ყოველთვის საყვარელი ტურნირი იყო და აქ ნახევარფინალში უთამაშია, შარშან კი **მარია შარაპოვას** მოუგო. მაგრამ, ამერიკელის დღევანდელი ფორმის გათვალისწინებით, ლისიცკი მაინც ყველას განწირული ეგონა.

გუშინდელ მატჩში სასწაულები პირველი სეტის მეხუთე გეიმიდან დაიწყო, როცა 2:2-დან მოყოლებული, გერმანელმა ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და სეტი 6:2 მოიგო. მეორე პარტიის პირველი გეიმიც ლისიცკის დარჩა, მაგრამ აქედან მოყოლებული, მატჩი იმ კალაპოტში ჩადგა, როგორსაც თავიდანვე წინასწარმეტყველებდნენ - უილიამსმა ზედიზედ ცხრა გეიმი მოიგო. ამ სერიამ მას მეორე სეტის მოგება (6:1) და მესამეში 3:0 დაწინაურება მოუტანა. ამის შემდეგ, ჩოგბურთელებმა გეიმები გაცვალეს და 4:1-ს ამერიკელი იგებდა.

სავარაუდოდ, სერენა გონებაში ზედიზედ 35-ე მოგებას ზეიმობდა, მაგრამ თავისი გეგმები ჰქონდა გერმანელსაც. ბრწყინვალე ფორჰენდებისა და მეტოქის შეცდომების დახმარებით, საბინმა ჯერ ანგარიში გაათანაბრა, შემდეგ ბრეიკი გააკეთა და 5:4 დაწინაურდა, ბოლოს კი მატჩზე ჩააწოდა და არა მარტო ამ უიმბლდონის, არამედ მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორი გახდა. ასე გავიდა გერმანელი ზედიზედ მეოთხედ უიმბლდონის მეოთხედფინალში.

ამ ეტაპზე ლისიცკის მეტოქე ესტონელი **კაია კანეპი** იქნება, რომელმაც ბრიტანული პუბლიკა გააწბილა, როცა ორ სეტში დაამარცხა **ლორა რობსონი** - 7:6(6), 7:5. მასპინძელი შეეძლო გამხდარიყო პირველი ბრიტანელი 1984 წლის შემდეგ, ვინც უიმბლდონის მეოთხედფინალში გავიდოდა. და რობსონს ამის შანსი ჰქონდა - პირველ სეტში 5:4-ს იგებდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. მეორე პარტიაში, კანეპიმ გადამწყვეტი ბრეიკი მე-11 გეიმში გააკეთა და შემდეგ, მეხუთე მატჩბოლზე დაასრულა მატჩი.

■ ■ ■

კანეპის მსგავსად, პირველად ითამაშებს უიმბლდონის მეოთხედფინალში ბელგიელი **კირსტენ ფლიპკენსი**. მან ურთულესი ბრძოლა გადაიტანა პირველ სეტში **ფლავია პენეტას** წინააღმდეგ, როცა იტალიელი 5:3-ს იგებდა, 6:5-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ ახალგაზრდა ბელგიელმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინა და ტაი-ბრეიკზე 7:2 მოიგო. მეორე სეტში კი ნაკლები ბრძოლა იყო და ვეტერანმა აპენინელმა მხოლოდ სამი გეიმი აიღო.

ფლიპკენსის შემდეგი მეტოქე უიმბლდონის 2011 წლის ჩემპიონი **პეტრა კვიტოვა** იქნება. მანაც ზუსტად იგივე ანგარიშით მოუგო ესპანელ **კარლა სუარეს ნავაროს,** როგორც ფლიპკენსმა პენეტას - 7:6, 6:3. ეს ჩეხის ზედიზედ მეოთხე მეოთხედფინალია უიმბლდონზე, რაც შეეხება კვიტოვასა და ფლიპკენსის ურთიერთშეხვედრათა დაპირისპირებას, ბელგიელი წინ არის - 2:1. თანაც, ორივე მატჩი კირსტენმა 2013 წელს მოიგო.

სერენას გამოვარდნის შემდეგ, ქალთა ბადეში ერთადერთი ამერიკელი შემორჩა - **სლოუნ სტივენსი**, რომელმაც ამ ტურნირის აღმოჩენას, 19 წლის პუერტორიკოელს **მონიკა პუიგს** მოუგო - 4:6, 7:5, 6:1. ახლა, კარიერაში პირველად ნახევარფინალში გასავლელად, სტივენსს ფრანგი **მარიონ ბარტოლის** დამარცხება დასჭირდება. ამ უკანასკნელმა იტალიელი **კარინ კნაპი** გამოთიშა ბრძოლას.

### 1/8 ფინალი

**საბინ ლისიცკი (გერ, 23)**-სერენა უილიამსი (აშშ, 1) 6:2, 1:6, 6:4; **კაია კანეპი (ესტ)**-ლორა რობსონი (ბრიტ) 7:6(6), 7:5; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 4)**-ცვეტანა პირონკოვა (ბულ) 4:6, 6:3, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 6)**-რობერტა ვინჩი (იტა, 11) 6:2, 6:0; **სლოუნ სტივენსი (აშშ, 17)**-მონიკა პუიგი (პ-რიკ) 4:6, 7:5, 6:1; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-კარინ კნაპი (იტა) 6:2, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 19) 7:6(5), 6:3; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 20)**-ფლავია პენეტა (იტა) 7:6(2), 6:3.

### 1/4 ფინალი

ლისიცკი (23)-კანეპი; ა. რადვანსკა (4)-ნა ლი (6); სტივენსი (17)-ბარტოლი (15); კვიტოვა (8)-ფლიპკენსი (20).

# კაცებში ყველაფერი ლოგიკურადაა

მამაკაცთა ბადეში ერთ-ერთი გამორჩეული მერვედფინალი სერბ **ნოვაკ ჯოკოვიჩსა** და გერმანელ **ტომი ჰაასს** შორის იმართებოდა. ეს უკანასკნელი თავის კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს, ამიტომაც ბევრს იმედი ჰქონდა, რომ ამ მატჩში ბრძოლას ნახავდა. თუმცა პირველმა სეტმა ჰაასის გულშემატკივრებს იმედები გაუცრუა. ჯოკოვიჩმა 25 წუთში მხოლოდ ერთი გეიმი დაუთმო 35 წლის ვეტერანს.

მაგრამ ჰაასმა ასე იოლად დანებება არ ისურვა და მეორე სეტში წარმატების რეალური შანსი მიიღო. გერმანელმა მეხუთე გეიმში ბრეიკი გააკეთა და 3:2 დაწინაურდა, მაგრამ მომდევნო ხუთი გეიმიდან ოთხი ჯოკოვიჩმა აიღო და სეტებში 2:0 დაწინაურდა.

როცა მესამე სეტში ნოვაკმა მორიგი ბრეიკი გააკეთა და 4:2 დაწინაურდა, ყველას ეგონა, რომ მატჩი ძალიან მალე დასრულდებოდა, თუმცა ჰაასმა მეათე გეიმში დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი და ნოვაკს ტაი-ბრეიკით მოუწია თამაშის დასრულება. აქ მან ოთხმაგი მატჩბოლი მიიღო და მესამე ცდაზე დაასრულა მატჩი, რომელიც ორი საათი და 12 წუთი გაგრძელდა.

ჯოკოვიჩმა 81 პროცენტი აიღო პირველი მოწოდებით, 40 „ვინერსი" შეაგროვა და 13 ეისი ჩააწოდა.

მეოთხედფინალში ნოვაკი ჩეხ **ტომაშ ბერდიხზე** გავიდა, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში 13:2-ს უგებს, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბერდიხმა ორი თვის წინ, რომის მასტერსზე მოუგო ჯოკოვიჩს, კიდევ ერთი მოგება კი 2010 წელს იყო უიმბლდონის ნახევარფინალში.

■ ■ ■

მეორე ნახევარფინალური წყვილი შეადგინეს **ენდი მარეიმ** და **ფერნანდო ვერდასკომ**. ბრიტანელმა ფავორიტმა მერვედფინალამდე ისე მიაღწია, რომ სეტი არ წაუგია და არც თავის გუშინდელ მეტოქეს, რუს მიხაილ იუჟნის დაუთმო პარტია. ამით, ენდის მოგებათა სერია ბალახის საფარზე 15 მატჩამდე ავიდა.

მატჩის დიდი ნაწილი, მარეი ძალიან საიმედოდ თამაშობდა, მაგალითად, პირველ სეტში მან მხოლოდ ოთხი უნებლიე შეცდომა დაუშვა და მესამე გეიმში გაკეთებული ბრეიკით მოიგო სეტი. მეორე სეტში კი მასპინძელს სერიოზული პრობლემები შეექმნა. 2:0 დაწინაურების შემდეგ, მარეიმ ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და განწირული ჩანდა, მაგრამ მაინც მოახერხა ტაი-ბრეიკამდე მისვლა. ენდის იქაც


ენდი მარეი

ჰქონდა ერთი ჩავარდნა, რადგან იუჟნიმ 5:3 წაიყვანა ანგარიში საჩოგბურთო ლატარიაში. და აქაც, პატარა სასწაულის ხარჯზე (ზედიზედ ოთხი ქულა აიღო), ბრიტანელმა სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა. იუჟნი ფსიქოლოგიურად გატყდა და მესამე სეტში წინააღმდეგობა ველარ გაუწია ბრიტანელს. შეხვედრა ორი საათი და 37 წუთი მიმდინარეობდა.

წესით და რიგით, მარეის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს მეოთხედფინალში ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** წინააღმდეგ, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში 8:1 მიჰყავს ანგარიში. გუშინ, ვერდასკო ნაკლებად ცნობილ ფრანგს **კენი დე სხეპერსს** ეთამაშებოდა და 15 საკუთარი გეიმიდან მხოლოდ ერთი დაუთმო, თავად კი სამი ბრეიკის ხარჯზე სამი სეტი ერთნაირი ანგარიშით დაასრულა - 6:4. ფერნანდო მეშვიდე ესპანელია ისტორიაში, ვინც უიმბლდონის მეოთხედფინალში გავიდა. ამ ეტაპზე პირველად გასასვლელად ვერდასკოს 11 ცდა დასჭირდა.

■ ■ ■

ტურნირის მეოთხე ნომერმა **დავიდ ფერერმა** კვლავ ვერ მოიგო მატჩი „მშრალი" ანგარიშით და კვლავ მდევრის როლში აღმოჩნდა. 56-წუთიანი პირველ სეტი ხორვატმა **ივან დოდიგმა** ტაი-ბრეიკზე მოიგო და მეორე პარტიაშიც დიდი ბრძოლა გაუმართა ესპანელს. მეშვიდე გეიმში დოდიგს ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა, ტაი-ბრეიკზე კი 3:1 დაწინაურდა და აქაც ესპანელის საბრძოლო ხასიათმა თქვა თავისი სიტყვა. მან გადაარჩინა მე-13 გეიმი და მეორე სეტბოლზე აიღო პარტია, რის შემდეგაც, სათამაშო ინიციატივა მთლიანად მის მხარეს გადავიდა.

მესამე სეტში ესპანელს 14 „ვინერსი" და არც ერთი უნებლიე შეცდომა არ ჰქონია. ეს პარტია მან 25 წუთში სამი ბრეიკით მოიგო, მეოთხე სეტში კი ორჯერ აიღო ხორვატის მოწოდება - 6:7(3), 7:6(6), 6:1, 6:1.

ფერერის მეტოქე **ხუან მარტინ დელ პოტროსა** და **ანდრეას სეპის** შეხვედრაში ირკვეოდა. მართალია, არგენტინელმა სამ სეტში მოახერხა მოგება, მაგრამ განსაკუთრებულად დიდი უპირატესობა არ ჰქონია. დელ პოტრომ პირველ და მესამე სეტებში თითო ბრეიკი მიითვალა, მეორე სეტში კი ტაი-ბრეიკამდე მივიდა საქმე და მე-13 გეიმი სამხრეთამერიკელმა 7:2 მოიგო. თამაში ორი საათი და 22 წუთი გაგრძელდა და ამ დროის განმავლობაში, არგენტინელს 36 „ვინერსი" ჰქონდა.

დელ პოტროს ქომაგებს ამ მატჩის წინ ჰქონდათ ნერვიულობის საბაბი, რადგან ორი დღით ადრე, ხუან მარტინმა **გრეგა ჟემლიას** წინააღმდეგ მუხლის ტრავმა მიიღო, თუმცა გუშინ, არგენტინელს დაზიანება არ ეტყობოდა და იმედია, ასე იქნება მეოთხედფინალში დავიდ ფერერის წინააღმდეგ. არგენტინელისა და ესპანელის ურთიერთშეხვედრებში უპირატესობა ფერერის მხარესაა - 6:2.

■ ■ ■

გუშინ, უიმბლდონზე პოლონური ჩოგბურთის ახალი ისტორია დაიწერა - ამ ქვეყნის ორი წარმომადგენელი გავიდა მეოთხედფინალში. გუშინდელი დღის გმირები აღმოჩნდნენ 22 წლის **იერჟი იანოვიჩი** და 31 წლის **ლუკაშ კუბოტი**. სხვათა შორის, ბოლო პოლონელი, ვინც უიმბლდონის მეოთხედფინალში ითამაშა, **ვოიტეკ ფიბაკი** იყო, რომელმაც 1980 წელს გააღწია რვა საუკეთესოთა შორის. რაც მთავარია, კუბოტი და იანოვიჩი ერთმანეთს მეოთხედფინალში ეთამაშებიან, რაც იმას ნიშნავს, პოლონეთს პირველად ეყოლება კაცი ჩოგბურთელი უიმბლდონის ნახევარფინალში.

გუშინ, ორივეს ხუთსეტიანი მატჩის ჩატარება მოუწია. იანოვიჩმა 3:6, 7:6(1), 6:4, 4:6, 6:4 მოუგო ავსტრიელ **იურგენ მელცერს**, კუბოტმა კი ცაცია ფრანგს **ადრიან მანარინოს** აჯობა - 4:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4.

### 1/8 ფინალი

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ტომი ჰაასი (გერ, 13) 6:1, 6:4, 7:6(4); **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 7)**-ბერნარდ ტომიჩი (ავსტრა) 7:6(4), 6:7(5), 6:4, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-ივან დოდიგი (ხორ) 6:7(3), 7:6(6), 6:1, 6:1; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 8)**-ანდრეას სეპი (იტა, 23) 6:4, 7:6(2), 6:3; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ადრიან მანარინო (საფ) 4:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24)**-იურგენ მელცერი (ავსტრია) 3:6, 7:6(1), 6:4, 4:6, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ)**-კენი დე სხეპერი (საფ) 6:4, 6:4, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 20) 6:4, 7:6(5), 6:1.

### 1/4 ფინალი

ჯოკოვიჩი (1)-ბერდიხი (7); ფერერი (4)-დელ პოტრო (8); კუბოტი-იანოვიჩი (24); ვერდასკო-მარეი (2).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL დრაფტი 2013

# კანადელი, ფინელი და ა. შ.



ნათან მაკინონი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გაიმართა ახალბედათა დრაფტის ოფიციალური ცერემონია, რომელსაც "ნიუ ჯერსი დევილზის" საშინაო არენა "პრუდენშლ ცენტრი" მასპინძლობდა.

პირველ ნომრად არჩევის უფლება "კოლორადო ეველანშს" ჰქონდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა **ჯო საკიკმა** თავდამსხმელ **ნათან მაკინონის** გვარი გამოაცხადა. ეს ცენტრფორვარდი შარშან "ჰალიფაქსში" თამაშობდა და 44 მატჩში 75 ქულა (32+43) დააგროვა.

მეორე ნომერი გახდა ფინელი **ალექსანდრ ბარკოვი**, რომელიც ყაზანის "აკ ბარსის" რუსი მწვრთნელის - უფროსი **ალექსანდრ ბარკოვის** ვაჟია და ფინეთის სახელით გამოდის. "ტაპარას" ცენტრფორვარდზე უფლებები "ფლორიდამ" მიიღო. ეს ამ დრაფტის ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახდა, რადგან მეორე ნომრად "ჰალიფაქსის" ფორვარდის **ჯონათან დრუენის** აყვანას ელოდნენ. საბოლოოდ, ეს უკანასკნელი მესამე ნომერი გახდა და შესაბამისად, "ტამპა ბეიში" წავიდა.

დრაფტისწინა ფავორიტი, "პორტლენდის" მცველი **სეტ ჯონსი** მხოლოდ მეოთხე ნომრად აირჩიეს და ის "ნეშვილის" ერგო. ამ კლუბის გენერალური მენეჯერი **დევიდ პოილი** სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა, როცა დრაფტის საუკეთესო მცველი აქამდე აურჩეველი დარჩა და არც უფიქრია, ისე აიყვანა ჯონსი.

დრაფტზე საუკეთესო შვედი გახდა ფორვარდი **ელიას ლინდჰოლმი**, რომელიც წელს, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი იყო. თავდამსხმელი "კაროლინას" საკუთრება გახდა.

ასე რომ, პირველ ხუთეულში ვიხილეთ ორი კანადელი, ორი სკანდინავიელი და ერთი ამერიკელი.

რუს ახალბედებს შორის საუკეთესო კი მოსკოვის "დინამოს" ფორვარდი **ვალერი ნიჩუშკინი** იყო. მეათე ნომრად ის "დალასმა" აიყვანა. ექსპერტები ახალგაზრდა თავდამსხმელს "ახალ ოვეჩკინს" უწოდებენ.

**დრაფტის TOP10**

1. კოლორადო - ნათან მაკინონი (ფ, კანადა)
2. ფლორიდა - ალექსანდრ ბარკოვი (ფ, ფინეთი)
3. ტამპა ბეი - ჯონათან დრუენი (ფ, კანადა)
4. ნეშვილი - სეტ ჯონსი (მცვ, აშშ)
5. კაროლინა - ელიას ლინდჰოლმი (ფ, შვედეთი)
6. კალგარი - შონ მონაჰენი (ფ, კანადა)
7. ედმონტონი - დარნელ ნერსი (მცვ, კანადა)
8. ბაფალო - რასმუს რისტოლაინენი (მცვ, ფინ)
9. ვანკუვერი - ბო ჰორვატი (ფ, კანადა)
10. დალასი - ვალერი ნიჩუშკინი (ფ, რუსეთი)

ფორმულა 1

# სანამ ტრაგედია მომხდარა

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ბრიტანეთის გრანპრიზე საბურავებთან დაკავშირებულმა სიტუაციამ, როცა ერთბაშად ოთხმა პილოტმა დაკარგა წარმატების შანსი უკანა მარცხენა საბურავის მწყობრიდან გამოსვლის გამო.

ერთ-ერთი დაზარალებული აღმოჩნდა "ფერარის" პილოტი **ფელიპე მასა**, რომელმაც არ გამორიცხა, რომ პილოტებმა უარი თქვან გერმანიის გრანპრიში მონაწილეობაზე, რომელიც 7 ივლისს გაიმართება. ჩემპიონატის მონაწილეები ამ ნაბიჯზე სწორედ "პირელის" საბურავებთან დაკავშირებული პრობლემების გამო წავლენ.

*"შეგვიძლია თუ არა გერმანიის გრანპრის ბოიკოტირება? არ ვიტყვი, რომ ამას აუცილებლად გავაკეთებთ. ასეთმა განცხადებამ, შეიძლება ნამდვილი აურზაური გამოიწვიოს. მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია ეს ნაბიჯი გადავდგათ საკუთარი უსაფრთხოებისთვის"*, - ამბობს ბრაზილიელი.

"რედ ბულის" შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** ბრიტანეთის გრანპრის შემდეგ განაცხადა, რომ "პირელის" ხელმძღვანელობამ სასწრაფოდ უნდა მოიყვანოს თავისი საბურავები წესრიგში. არადა, "სილვერსტოუნზე" საბურავების გამო "რედ ბულის" არც ერთი პილოტი არ დაზარალებულა.

*"მძიმე სანახავი იყო ის, რაც ჩვენს კონკურენტებს დაემართათ*, - ამბობს ჰორნერი. - *ახლა მთავარია გავერკვეთ, რაში მდგომარეობს პრობლემა. "პირელიმ" უნდა მონახოს სწორი გადაწყვეტილება, თანაც, მაქსიმალურად მოკლე ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ტრაგედია მოხდეს"*.




ჰემილტონის ბოლიდი

სხვათა შორის, ჰორნერი და "ფერარის" შეფი **სტეფანო დომენიკალი** საინტერესო წინადადებით გამოვიდნენ. მათ სურთ ივლისში დაგეგმილი ახალგაზრდული ტესტები "პირელის" საბურავების გამოცდით შეცვალონ. მათი აზრით, ეს არის ერთადერთი ხერხი, რომლითაც გუნდები "პირელის" დაეხმარებიან.

*"ეს ის პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაში ფორმულა 1-ის მთელმა სამყარომ უნდა მიიღოს მონაწილეობა*, - განაცხადა ალენმა. - *მიმაჩნია, რომ უახლოეს დღეებში უნდა განვიხილოთ სილვერსტოუნში დაგეგმილი ტესტების საკითხი. იქ ახალგაზრდა პილოტებმა უნდა იმუშაონ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საბურავი დიდ დატვირთვას იღებს ამ ტრასაზე, მსგავსი ტესტები დაეხმარება "პირელის" პრობლემის მოგვარებაში. თან ვიმუშავებდით ძირითად პილოტებთან, რადგან ეს საკითხი მათთვისაც მნიშვნელოვანია. ასეთი ტესტი ყველასთვის სასარგებლო იქნება"*.

საბოლოოდ, ახალგაზრდული ტესტების შეცვლას საბურავების ტესტებით ყველამ დაუჭირა მხარი. განიხილება ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ძირითადი პილოტები ერთი ან ორი დღე იმუშავებენ და შემდეგ, მათ ახალგაზრდები შეცვლიან.

კალათბურთი

# პოლი კლიპერსში დარჩა




კრის პოლი

"ლოს ანჯელეს კლიპერსმა" ზეპირ შეთანხმებას მიაღწია თავის გამთამაშებელთან **კრის პოლთან** კონტრაქტის ხუთი წლით გახანგრძლივებაზე. ამ ხელშეკრულების თანახმად, NBA-ის ერთ-ერთმა საუკეთესო პლეიმეიკერმა 107 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშავოს. შეგახსენებთ, რომ დღეიდან პოლი შეუზღუდავი უფლებების თავისუფალი აგენტი გახდა.

კრისის "კლიპერსიდან" წასვლის შანსები ძალიან დაბალი გახდა მას შემდეგ, რაც ცოტა ხნის წინათ, კალიფორნიული კლუბი "ბოსტონის" ყოფილმა დამრიგებელმა **დოკ რივერსმა** ჩაიბარა. ამერიკული პრესა ამტკიცებდა, რომ პოლი **დუაიტ ჰოვარდთან** ერთად უნდა გადასულიყო "ატლანტაში", მაგრამ მცველმა კარიერის "კლიპერსში" გაგრძელების ვარიანტი აირჩია.

■ ■ ■

25 წლის გამთამაშებელი **გალ მეკელი** ისრაელის კალათბურთის ისტორიაში მეორე მოთამაშეა, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ითამაშებს. მას გარანტირებულ კონტრაქტზე შეუთანხმდა "დალას მავერიქსი". მეკელის ხელშეკრულება სამწლიანი იქნება და კალათბურთელი მინიმალურ ხელფასს მიიღებს - სეზონში 490 ათას დოლარს.

გალ მეკელმა 2012-13 წლების სეზონი ჰაიფას "მაკაბის" რიგებში გაატარა და საშუალოდ 13.3 ქულა, 2.6 მოხსნა და 5.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ვოლგა-კლუჟი | 0:2 |
| მორდოვია-კონსტანტა | 1:1 |
| არსენალი (კ)-დინამო (ზ) | 0:1 |
| ყუბანი-კარპატი | 3:2 |
| ავსტრია-ზორია | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფრედრიკსტადი-კრისტიანსუნდი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-მიალბიუ | 0:0 |
| ატვიდაბერგი-ბრომაპიოკარნა | 4:1 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ჰიკ-ლაჰტი | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კოტეპე-ოულუ | 0:0 |
| ოპს-ჰაკა | 1:2 |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ბოჰემიანი-დერი | 0:2 |
| დროგედა-კორკი | 3:0 |
| ლიმერიკი-სლიგო | 0:4 |
| **პერუ** | |
| სპორტი-უნ. სან მარტინი | 1:0 |

TV პროგრამა

**2 ივლისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ლიონი-ტოტენჰემი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
**14:00** სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - ლევერკუზენი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-სტოკი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-მანჩესტერ იუნ.
**21:00** სეზონის მიმოხილვა. გერმანიის ჩემპიონატი - შალკე.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-ლევერკუზენი.
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
**12:00** კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-რეალი.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**14:30** ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 20 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 20 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 20 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 19 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 17 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 16 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 20 | 31 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 19 | 31 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 12 | 18 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 18 | 23 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 8 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1566 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6509 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5160 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0472 |

კალათბურთი

# ვან დენ შპიგელი წავიდა

ცნობილმა ბელგიელმა ცენტრმა **ტომას ვან დენ შპიგელმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადა. ეს კალათბურთელი მოსკოვის ცსკა-ში გამოსვლით არის ცნობილი - არმიელთა რიგებში ვეტერანმა ორჯერ მოიგო ევროლიგა. ბოლო დროს ვან შპიგელი სამშობლოში "ოსტენდეს" ღირსებას იცავდა.

*"დღეს, 18-წლიანი პროფესიული კარიერის შემდეგ, ოფიციალურად წავედი კალათბურთიდან. უდიდესი მადლობა ყველას, ვისაც ამ წლების განმავლობაში მოედანზე შევხვედრივარ"*, - დაწერა თავის "ტვიტერზე" კალათბურთელმა.

# ესპანეთი ჩემპიონია

კვირას, საფრანგეთში დასრულდა ქალებს შორის ევროპის ჩემპიონატი. ქალაქ ორშიში, გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთისა და საფრანგეთის ნაკრებები. დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულით ესპანელებმა გაიმარჯვეს - 70:69 (21:12, 15:23, 17:20, 17:14).

გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო **ალბა ტორენსი**, რომელმაც 21 ქულა დააგროვა, **სანჩო ლიტლმა** კი ორმაგი დუბლი დააგროვა - 20 ქულა და 11 მოხსნა. ფრანგების რიგებში 25 ქულა დააგროვა **სანდრინ გრუდამ**.

ესპანეთის ნაკრები თავის ისტორიაში მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. აქამდე, გუნდმა ევროპის ჩემპიონატი 1993 წელს მოიგო და მაშინაც ფინალში საფრანგეთის ნაკრები დაამარცხა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ევროპის ჩემპიონი

კრივი

# ჰეის მეტოქე შეარჩია


დევიდ ჰეი

ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსნის **დევიდ ჰეის** შემდეგი მეტოქე იქნება მისი თანამემამულე **ტაისონ ფიური**. ამის შესახებ გამოცემა The Sun იტყობინება. ვარაუდობენ, რომ მხარეები ბრძოლის კონტრაქტზე ხელს უახლოეს დღეებში მოაწერენ.

შეხვედრა 28 სექტემბერს, ქალაქ მანჩესტერში უნდა გაიმართოს. ბრძოლაში მონაწილეობისთვის მოკრივეები ხუთ-ხუთ მილიონ დოლარს მიიღებენ. უფრო ადრე, თავად ფიურიმ განაცხადა, რომ საერთო ჰონორარის 80 პროცენტის მიღება სურდა.

ჰეისთვის ეს იქნება პირველი ბრძოლა კარიერის განახლების შემდეგ. ბრიტანელმა რინგზე დაბრუნების შესახებ 2013 წლის მარტში გამოაცხადა. 29 ივნისს, ჰეი უნდა შეხვედროდა გერმანელ **მანუელ ჩარს**, მაგრამ უარი განაცხადა ბრძოლაზე ხელის ტრავმის გამო.

The Sun წერს, რომ დევიდი იძულებული გახდა ჩარისთვის 100 ათასი ფუნტი გადაეხადა - სწორედ ეს თანხა დაუჯდა ბრიტანელს ბრძოლის გაუქმება. ასევე ორივე მოკრივემ მოილაპარაკეს იმის შესახებ, რომ მომავალში აუცილებლად ავლენ ერთმანეთის წინააღმდეგ რინგზე.

ბოლო ბრძოლა ჰეიმ 2012 წლის ივლისში ჩაატარა, როცა თანამემამულე **დერეკ ჩისორა** დაამარცხა. იმ მომენტისთვის არც ერთ მოკრივეს არ გააჩნდა საკრივო ლიცენზია და ლუქსემბურგის კრივის ფედერაციამ მისცა ბრძოლაზე თანხმობა. სულ, პროფესიულ რინგზე 32 წლის ჰეიმ 28 ბრძოლა ჩაატარა, მოიგო 26 და ორჯერ დამარცხდა.

25 წლის ფიურის ანგარიშზე 21-დან 21 მოგებაა (15 - ნოკაუტით).

# ტაისონი პრომოუტერი გახდა


მაიკ ტაისონი

ლეგენდარული **მაიკ ტაისონი** ახალი მიმართულებით სცდის ძალებს. სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, რომელიც კარიერის დასრულების შემდეგ, ძირითადად, სკანდალურ ქრონიკებში ჩნდებოდა და მატერიალურ პრობლემებს განიცდიდა, შეიძლება პრომოუტერის როლიც მოირგოს.

ახალ კომპანიას Iron Mike Promotions ჰქვია და მისი პირველი კლიენტი გახდა 20 წლის **ალბერტ ბელი**, რომელსაც გასულ უქმეებზე ჰქონდა დებიუტი პროფესიულ რინგზე და დაამარცხა ასევე გამოუცდელი **ჰაროლდ ტორესი**.

ტაისონის ბიზნეს-პარტნიორი გახლავთ Acquinity Sports-ის აღმასრულებელი დირექტორი **გერი ტომასი**, ფორმალურად კი პრომოუტერული კომპანიის ხელმძღვანელი იქნება **ჰენრი რივალტა**.

*„ჩემი პირველი მებრძოლია - ალბერტ ბელი. ჩვენ სერიოზული შერჩევა ჩავატარეთ პრეტენდენტებს შორის და ამ ბიჭმა ყველა გამოცდას გაუძლო. ამიერიდან, ის ჩვენი გუნდის ნაწილია“*, - განაცხადა კმაყოფილმა ტაისონმა.

# სერხიო მეივეზერს უმიზნებს


სერხიო მარტინესი

საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი, 38 წლის არგენტინელი **სერხიო მარტინესი** კვლავაც აღდგენით პროცესს გადის აპრილში, **მარტინ მიურეისთან** ბრძოლის დროს მიღებული ტრავმების შემდეგ. ის 2014 წლის დასაწყისში აპირებს რინგზე დაბრუნებას და სურს თავის წონაში საუკეთესო მოკრივეს შეხვდეს. ვარიანტი, რომელიც მარტინესს ყველაზე მეტად აინტერესებს - ეს არის ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერსა** და პირველ საშუალო წონაში WBA/WBC-ის ჩემპიონს, მექსიკელ **საულ ალვარესს** შორის ბრძოლაში გამარჯვებული.

*„ჩემთვის ეს არის ძალიან კარგი ვარიანტი, - ამბობს მარტინესი. - ფლოიდი - მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეა, ხოლო ალვარესი, მოგების შემთხვევაში, ერთ-ერთი საუკეთესო გახდება. ჩემი პრინციპია - საუკეთესოებთან ჩხუბი. მე მზად ვიქნები მათ შორის მოგებულთან შესახვედრად. რაც შეეხება მათ ბრძოლას, ეს იქნება ძალიან რთული შეხვედრა. ფლოიდს გააჩნია გამოცდილება, მაგრამ მექსიკელის ჩამოწერა არ შეიძლება. ამერიკელი, შესაძლოა, ფავორიტია, მაგრამ დიდი უპირატესობა არ აქვს“.*

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

# FINAL — BUSINESS CHAMPIONS LEAGUE



## SILVER LEAGUE

| 1 | : | 2 |
|---|---|---|
| სეფერთელაძე | | გობეჯიშვილი |
| | | ხოჭოლავა |
| საუკეთესო მოთამაშე | | საუკეთესო მოთამაშე |
| ნეველიძე | | ხოჭოლავა |

## ALL STAR

| GOLD LEAGUE TEAM 3 | : | 2 SILVER LEAGUE TEAM |
|---|---|---|
| გიორგაძე | | ჩიქოვანი |
| სარჯანაშვილი | | თევზაძე |
| სარჯანაშვილი | | |
| საუკეთესო მოთამაშე | | საუკეთესო მოთამაშე |
| სარჯანაშვილი | | ჯავახიშვილი |

### 30.06.2013

ფავორიტი კვლავ დამარცხდა და ეს ისევ „ნატახტარია“.

ამჯერად, წლევანდელი ლიგის ლიდერი და სამი ფინალის მონაწილე ვერცხლის ლიგის ფინალში BP GEORGIA-ს გუნდთან დამარცხდა.

თამაში „ნატახტარის“ უპირატესობით დაიწყო და მე-5 წუთზე ანგარიშიც გახსნა. სეფერთელაძემ ისარგებლა მოწინააღმდეგის დაცვის უყურადღებობით და გიორგისაც არ გასჭირვებია მეტოქის კარში ბურთის გადაგზავნა.

„ნატახტარი“ აგრძელებდა სახიფათო მომენტების შექმნას და იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ანგარიში გაიზრდებოდა, მაგრამ ტაიმის ბოლოს BP GEORGIA-მ გაათანაბრა თამაში. მათ რამდენიმე მომენტიც შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, რაც ერთგვარი სიგნალი უნდა ყოფილიყო „ნატახტარისთვის“.

BP GEORGIA-მ სტანდარტული მდგომარეობების გამოყენებით იმარჯვა.

ნატახტარის კართან გათამაშებულ კუთხურებს ჯერ გობეჯიშვილის, ხოლო შემდეგ ხოჭოლავას გოლები მოჰყვა.

„ნატახტარმა“ მატჩის ბოლოს მეტოქის კართან რამოდენიმე 100% - იანი საგოლე მომენტი შექმნა, თუმცა ყველა მომენტში საბოლოო დარტყმებს სიზუსტე აკლდა.

სადებიუტო სეზონი BP GEORGIA-ს გუნდმა ბრწყინვალედ დაასრულა, ხოლო „ნატახტარი“ შეეცდება 7 ივლისს ოქროს ლიგის ფინალურ შეხვედრაში მიაღწიოს წარმატებას.

**ვერცხლის ლიგის საუკეთესო მოთამაშეები**

**საუკეთესო მეკარე** - ალექსანდრე ჯავახიშვილი (საქართველოს ბანკი)
**საუკეთესო მცველი**-ვატო მაჭავარიანი ( VTB Bank)
**საუკეთესო უნივერსალი** - ზვიად კუჭუაშვილი ( BP GEORGIA)
**საუკეთესო თავდამსხმელი** - დავით გულარიძე ( BP GEORGIA)...
**ბომბარდირი** - ირაკლი ჩიქოვანი (ავტობილდი)
**საუკეთესო მოთამაშე** - გიორგი სეფერთელაძე (ნატახტარი)

**07.07.2013 სპორტკომპლექსი „არენა“. ოქროს ლიგის ფინალური შეხვედრა**
15:00 ლიგის ნაკრები-მინი ფეხბურთის ვეტერანები
16:00 ნატახტარი 2-Eristavi Law Group

### ლიგის სიმბოლური ნაკრები 2012/2013



SPORT BUSINESS MANAGEMENT GEORGIA

VTB · Joma · SBM · ERISTAVI · ნატახტარი

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608